პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 139 (11445)
ხუთშაბათი
18
ივნისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ათვალიერებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

10 დღეში ავიღოთ პურეულის მოსავალი

საკოლმეურნეო მინდვრებზე შვიდწლედის პირველი წლის პურეული მწიფდება. შემოდის ხვავი და ბარაქა, ზოგან უკვე შეუდგნენ მოსავლის აღებას. კიდევ რამდენიმე დღე, და პურეულის მკა ძალზე ფართოდ გაჩაღდება. ამოქმედდა კოლმეურნეობათა მძლავრი ტექნიკა. ველის „ხომალდები“ გუგუნებენ ვრცელ მინდვრებზე.

სახელმოხვეჭილი წითელწყაროელი კომბაინერის გიორგი დოლიძის ინიციატივას — 10 **სამუშაო დღეში უდანაკარგოდ ავიღოთ პურეულის** მოსავალი — ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის კომბაინერები. გაჩაღდა სოციალისტური შჯიბრება, დიადი ლაშქრობა მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში უდანაკარგოდ აღებისათვის.

დღის „კომუნისტში“ დაბეჭდილია ცნობები სახელოვან მექანიზატორთა შრომითს გამარჯვებებზე. ამიერიდან მოსავლის აღების სეზონში ყოველდღიურად დაიბეჭდება ცნობები წარჩინებულ კომბაინერთა წარმატებების შესახებ, იმათ შესახებ, ვინც ყველაზე მეტად გამოიჩენს თავს პურეულის აღებაში.

ალაზნის ველზე ხვავდება ხორგალი

ალაზნის ველზე ხშირად წვიმს, მაგრამ ზაფხულმა იმარჯვა, თავისი გაიტანა. მზემ, დროგამოშვებით რომ აფრქვევს მცხუნვარე სხივებს, თავთავიანი კულტურები მოამწიფა. ცის დასალიერამდე გაშლილი ყანები ოქროსფრად აელვარდა. მომწიფებული მარცვლის სიმრავლემ თავთავებს თავი დაახრევინა.

განუწყვეტლივ გუგუნებენ მინდვრის მძლავრი ხომალდები, ისმის კოლმეურნეთა ომახიანი შეძახილები. ხალხი გროვდება წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კალოებსა და საველე საწყობებში. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა შვიდწლედის პირველი წლის უხვი მოსავლის დაჩქარებით აღებაზე ფიქრობს.

მინდვრის მეველე ფორე ფხოველიშვილი 85 წლისაა, მაგრამ მოხუცებულობამ ვერ დაძლია, დღეში სამ-ოთხჯერ შემოუვლის ორი ათას ჰექტარ ნთესს.

— რას იტყვი წლევანდელ მოსავალზე, საწყობები იკმარებს?

თმაგათეთრებულმა მოხუცმა ოფლი მოიწმინდა, თვალუწვდენელ ველს გახედა და გვითხრა:

— არა, შვილებო. ჩემს მახსოვრობაში უხვმოსავლიანი წელი ბევრი ყოფილა, მაგრამ ასეთი არ მახსოვს. საწყობები არ გვეყოფა.

მოხუცის ნაამბობი არ გვაეჭვებდა, მაგრამ მკის პირველ შედეგებს მაინც გავეცანით. მართლაც უხვი მოსავალია. სამ დღეში 202 ჰექტარი ქერი მომკეს. შარშანდელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე თერმეტი ცენტნერით მეტი მოსავალია აღებული. აგრეგატების მუშაკებმა გამოცდა სასახელოდ ჩააბარეს.

კომბაინის აგრეგატმა, რომელსაც ზაქარია ალადაშვილი ხელმძღვანელობს, ორ დღეში 65 ტონა ქერი გალეწა. ვლადიმერ გურაშვილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინის ბუნკერიდან ორდღენახევარში 68 ტონა ქერი გადმოტვირთა. კარგად იმუშავეს ბორის და იოსებ ბაგალიშვილების, ალექსი ნარინდოშვილისა და გიორგი ჯავაშვილის აგრეგატებმაც.

* * *

ხორბლის მკა დაიწყო. ოცდახუთი წელია კომბაინერად მუშაობს ვლადიმერ გურაშვილი, ერთი წუთითაც არ ფერხდება მისი ნაცადი კომბაინი. შვილი — ელგუჯაც გვერდით ჰყავს მეშტურვალედ. გურაშვილებმა პირველ დღესვე გაანადგეს წითელწყაროს ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა მომართვის პასუხად ნაკისრი ვალდებულება.

მარჯვენას უქნებენ ტრაქტორისტ გიორგი ნიკუაშვილსაც. ასი მეტრიც არ ჰქონდა გავლილი აგრეგატს, კომბაინერმა რომ დაიძახა, „ბუნკერი სავსეაო“. სწრაფად მივიდა თვითსაცლელი ავტომანქანა. აგრეგატის გაუჩერებლად დაცალა ბუნკერი. თვრამეტი ჰექტარი ხორბალი მომკა. ბუნკერიდან ოთხას ცენტნერამდე ოქროსფერი მარცვალი გადმოტვირთა. 22 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე ცოტა როდია!

ხორბლის ყანებში დაცურავენ ზ. ალადაშვილის, ბ. ბაგალიშვილის, ა. ნარინდოშვილის, გ. ჯავაშვილისა და ი. ბაგალიშვილის კომბაინის აგრეგატები. „საველე შტაბი“ მინდვრის ხომალდების მეთაურებისაგან სახიხარულო ცნობებს იღებს. არც ერთი არ არის ისეთი, მკის დღიური ნორმა 150 პროცენტით მაინც რომ არ შეასრულოს. მექანიკოსი ზაქარია გურაშვილი დღედაღამ მექანიზატორებთან არის. თუ ვინმეს რამე გაუჭირდა, ეხმარება. თავისი ხელით აკეთებს დაზიანებულ ნაწილებს.

მარტო მომკა არ კმარა. მარცვალი თუ არ გაიწმინდა და არ გაშრა, დაზიანდება. ამიტომ არის, რომ წნორელები დღედაღამ არ წყვეტენ მუშაობას. შალვა ფხოველიშვილი შეუფერხებლად მართავს მარცვალმტყორცნს. დღეში 30 ტონა ხორბალს ანიავებს. ავტომანქანის მძღოლებსაც დიდი ჯაფა აწევთ. ვ. მოლაშვილს, თ. ბერიაშვილს, ჭ. მოლაშვილს და სხვებს ყოველდღიურად ათობით ტონა მარცვალი მიაქვთ კალოებზე, იქიდან კი საწყობებში.

ხორბლის გორას დახტრიალებენ კოლმეურნეები თამარ ალადაშვილი, ვარა თეგაშვილი, მაყვალა ძამიაშვილი და სხვები. მათგან მაგალითს იღებენ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული გოგონები ლ. ჯავაშვილი, შ. ოზბეთელაშვილი, ნ. ჯავაშვილი და სხვები.

* * *

წნორელებს პირუტყვისათვის ზრუნვა არ ავიწყდებათ. ნაკვეთებიდან სწრაფად გამოაქვთ ნამჯა და ფერმებისაკენ გზავნიან. ვაჟა ოთაროვი ნამჯის საწნეხ მანქანას სწრაფად ამუშავებს. საკვების დამამზადებლებს კარგად ხელმძღვანელობს იოსებ ფხოველიშვილი. პირუტყვის ბინებთან მრავლდება დაწნეხილი ნამჯის ზვინები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აბრამ მჭედლიშვილს მოსავლის აღების ფრონტი შეემოწმებინა და ახლა მხვნელ-მთესველთა ნამუშევარს ათვალიერებდა.

— წელს, — თქვა მან, — სიმინდი ბევრი გვითესია, მაგრამ ეს საკმარისად არ მიგვაჩნია. ამიტომ ვჩქარობთ ნაწვერალის მოხვნას.. 280 ჰექტარის ნაცვლად, როგორც გეგმით არის გათვალისწინებული, 350 ჰექტარი უნდა დავთესოთ.

კიდევაც დათესავენ. ტრაქტორისტები არჩილ ღირსიაშვილი და შოთა ჩითინაშვილი ხვნის დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ. მოხნულია პირველი ორასი ჰექტარი. ახალგაზრდა მექანიზატორმა რამან თეგაშვილმა შარშან „ბელარუსით“ რბილ ხვნაზე გადაუვანით 1.800 ჰექტარი დაამუშავა. წელს ორი ათასსაც არ დასჯერდება. ნაწვერალზე 160 ჰექტარი სიმინდი დათესა.

* * *

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აბრამ მჭედლიშვილს ვკითხეთ, რა უშლით ხელს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში. მან და სხვებმაც თქვეს, საბურავების უქონლობით რამდენიმე ავტომანქანა უმოძრაოდ დგასო. სიღნაღის რაიკომკავშირმა წნორელებს ოთხასი ტომარა მიპყიდა. აქედან ორასზე მეტი დახეულია. სამწუხაროა! ნამჯის დასაწნეხად საკმაო მავთული არა აქვთ. ეს ნაკლოვანებანი რომ არ უშლიდეთ ხელს, მოსავალს უფრო სწრაფად აიღებდნენ და დაანავებდნენ.

ს. ქოჩლაძე.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ამუშავებენ ჩაის ფოთლის ზამბ. ნ. ს. ხრუშჩოვის

შვიდწლედის პირველი ზაფხული

ადგა შვიდწლედის პირველი ზაფხული, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალ-ახალ გამარჯვებათა მოპოვების ძვირფასი დრო.

ზაფხული ყველაზე პასუხსაგები პერიოდია სოფლის მეურნეობაში. თუ დაგვიანებ რომელიმე სამუშაოს შესრულებას — ერთიანად და უფრო მეტად იმწვნევ ამით მოყენებულ ზარალს. საკოლმეურნეო წარმოების თანარიგიანი, გულშემატკივარი ორგანიზატორები ერთი წუთითაც არ ეთიშებიან საერთო, საზოგადოებრივ საქმეს. ყოველთვის მუშაობის გადაძწყვეტ უბნებზე არიან. მათ შეგნებული აქვთ იმ ვალდებულებათა მთელი სერიოზულობა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა იკისრეს პარტიისა და მთავრობის წინაშე, საბჭოთა ხალხისა და საშრომლოს წინაშე. ამ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულება დიდ შემოქმედებითს, დაძაბულ შრომას მოითხოვს.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობამ, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა მაგალითი უნდა აიღონ მრეწველობის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებისაგან, მიბაძონ მათ შრომაში, მათებრ იბრძოლონ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ამ მხრივ სოფლის მეურნეობის მუშაკებიდან თავისი პირველი სიტყვა უკვე თქვეს ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა. იბრძვიან რა მომდინარე წელს 140.000 ტონა ჩაის ფოთლისათვის, საქართველოს სუბტროპიკული რაიონების მშრომელები ჭეშმარიტად გვიჩვენებენ ჩაის ფრონტზე გმირული შრომის შესანიშნავ მაგალითებს. აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, ჩოხატაურის, აბაშის, ხობის, ტყიბულის, ცხაკაიას, წყალტუბოს და მთელი რიგი სხვა მოწინავე რაიონების მშრომელებმა კარგა ხანია ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა შეასრულეს და ახლა იბრძვიან ივლისის გეგმის 15 ივლისისათვის გასანაღდებლად. ცალკეული მეჩაიეები ხომ პირდაპირ შრომითს სასწაულებს ახდენენ. ყოველი დღე წარმოშობს ჩაის ფრონტის ახალ-ახალ გმირებს. მათ შესახებ ცნობები სისტემატურად ქვეყნდება „კომუნისტის“ ყოველ ნომერში, გამოჩნდნენ ჩაის ფოთლის კრეფის პირველი რეკორდსმენები. მათ შორის აღსანიშნავია გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს კოლმეურნეობის მეჩაიე ლილი ბართაია, რომელმაც ერთ დღეს მოკრიფა 200 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამისა და ამ დღეს 10 შრომადღე გამოიმუშავა, ვინ არ დალოცავს ასეთი ადამიანის მადლიან მარჯვენას!

გაზაფხულზე კარგად იმუშავეს ჩვენმა მექანიზატორებმა. ფართოდ გამოეხმაურნენ რა ქარელის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორის გ. სიხაშვილის მოწოდებას სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების ალექსანდრე გიტალოვის მეთოდით — კომპლექსური მექანიზაციით დამუშავების შესახებ, შემჭიდროებულ აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარეს სიმინდის, ჭარხლისა და სხვა კულტურების თესვა, მიიღეს სწორი კვადრატები და ახლა გაძლიერებული ტემპით ამუშავებენ სიმინდის ნათესებს. ბევრგან უკვე მეორე კულტივაცია ჩაატარეს. სასიამოვნო სანახავია გ. სიხაშვილის მიერ დამუშავებული სიმინდის ნათესები. მცენარეები იშოლტებიან, წელში სწორდებიან, „მწვანე კვადრატები“ მათს ფოთლებში თანდათან უჩინარდებიან. პატრიოტული მოძრაობის სახელოვან თაოსანს — გ. სიხაშვილს პირველი გამარჯვება მოპოვებული აქვს.

ჯერი ახლა კომბაინერებზე მიდგა. კახეთის რაიონებში ისინი პირველნი ჩაებნენ პურისათვის ბრძოლაში, ჩართეს აგრეგატები და მინდვრის ხომალდები შეაცურეს პურეულის ბარაქიან ყანებში. ამ მხრივ პირველი სიტყვა ტიბაანელმა კოლმეურნე მექანიზატორებმა თქვეს. მათ უკვე ათობით ჰექტარზე აიღეს ქერის მოსავალი და კვლავ განაგრძობენ იერიშს დათქმული ზღუდის მოკლე დროში ასაღებად. მომწიფებული ყანები რიგში დგანან. „დაანჩარეთ, ბიჭებო, ქერის აღება, თავს ვეღარ ვიკავებთ, სიმძიმისაგან ვიხრებით!“ — თითქოს ეჩურჩულებიან ხორბლის ყანები მექანიზატორებს და ტიბაანელი კომბაინერებიც ჩქარობენ. მათ რესპუბლიკაში პირველებმა დაიწყეს ნაწვერალზე სიმინდის თესვა. ამ კოლმეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტმა ხ. მაისაშვილმა მარტო ერთ დღეს 24 ჰექტარზე დათესა სასილოსე სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად.

არც წითელწყაროელი მექანიზატორები რჩებიან ვალში. 10 ივნისს ამ რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში ქერის მოსავლის ასაღებად პირველნი გავიდნენ მოწინავე კოლმეურნე მექანიზატორები შალვა კოტოშვილი და ალექსი ყოჩიაშვილი. დღეში 14-16 ჰექტარი — ასეთია პირველი შედეგები. ვერ დავიმდურებით. კომბაინერები აბობენ, როცა ქერის მოსავალს ვიღებთ, კომბაინებს პირს ვუწყობთ ხორბლის მოსავლის ასაღებადო. მართლაც აქ ვლინდება და უმალვე სწორდება მანქანების უწესივრობანი.

სულ მალე მასობრივად დაიწყება პურეულის მოსავლის აღება კახეთის რაიონებში. ამ დიდი პასუხსაგები სამუშაოებისათვის მეტწილ კოლმეურნეობებში სანიმუშოდ მოემზადნენ. მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. ზოგან ფერხდება ტრაქტორების რემონტი იმის გამო, რომ საჭირო სათადარიგო ნაწილები არ იშოვნება სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში.

ზაფხულის დღეები სულ მალე გვაგრძნობინებენ თავის დიდებულ ძალას. ამისათვის ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ. სოფლის მშრომელთა სახელისა და ღირსების საქმეა ოდნავაც არ შეანელონ მძლავრი შემოქმედებითი შრომის ტემპი. ჩაის ფოთლის კრეფის, პურეულის მოსავლის აღების, ნათესების დამუშავების, საკვების დამზადებისა და ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ახლა გადამწყვეტია სოფლის მეურნეობაში.

შვიდწლედის პირველ ზაფხულში სასახელო გამარჯვებების მოპოვებისათვის, ამხანაგებო!

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

1959 წლის 15 ივნისისათვის

ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	შესრულება პროცენტობით: წლიური გეგმისა	მაის-ივნისის გეგმისა
ქობულეთის რაიონი	44,0	93,7
ბათუმის	43,1	91,8
ქედის	40,0	80,0
სულ აჭარის ასსრ	43,8	93,2
გალის რაიონი	48,4	109,1
ოჩამჩირის	46,5	106,4
სოხუმის	55,0	127,9
გუდაუთის	52,8	120,6
სულ აფხაზეთის ასსრ	48,5	110,3
ბახარაძის რაიონი	48,4	102,9
ჩოხატაურის	52,7	112,0
ლანჩხუთის	47,7	103,6
სამტრედიის	44,0	95,9
წულუკიძის	45,0	98,0
წყალტუბოს	54,1	117,5
ტყიბულის	57,5	125,1
ცხაკაიას	50,7	111,3
აბაშის	49,6	107,6
გეგეჭკორის	45,4	100,9
ზუგდიდის	44,1	95,8
ჩხოროწყუს	45,7	99,4
წალენჯიხის	44,1	95,6
ხობის	48,5	105,4
თერჯოლის	58,5	127,0
ზესტაფონის	73,3	183,3
ქ. ჭიათურა	80,6	200,0
ვანის რაიონი	45,0	112,5
ქ. ფოთი	33,3	100,0
სულ საქართველოს სსრ-ში	46,9	101,4

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

გერმანელი სტუმრები საბჭოთა კავშირში

გორკი, 16 ივნისი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს ვ. ულბრიხტმა, ო. გროტევოლმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებმა ა. ი. მიქოიანთან ერთად გაისეირნეს ვოლგაზე. ისინი ჩასხდნენ „ომფორტულ დიზელმავალ „დობრინია ნიკიტინში“. გემი, რომელიც ვოლგის ნაპირზე შეკრებილმა ათასობით მაყურებელმა გაცილა, დაადგა მდინარეს გორკის ეკონომიური რაიონის ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობის ცენტრამდე — ქალაქ ქსტოვამდე.

გორკი, 16 ივნისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელიც აქ იმყოფება, 3 ჯგუფად გაიყო, რათა მალე გაიცნოს ჩვენი ქვეყნის დიდი ინდუსტრიული ცენტრი — ქალაქი გორკი.

დღით დელეგაციის წევრები ვ. ულბრიხტის მეთაურობით ა. ი. მიქოიანთან ერთად იყვნენ გორკის ახლო მდებარე ქიმიურ ქარხანაში. ქიმიური მრეწველობის ამ უდიდეს საწარმოში მიმდინარე შვიდწლედში ძირითადი პროდუქტების წარმოება ერთიორად უნდა გადიდდეს.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ საქარხნო სამმართველოს ახლო ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს ამ საწარმოს მთავარმა ინჟინერმა მ. ვ. ხრულევმა, დელეგაციის წევრებმა პროფესორმა, დოქტორმა ი. ნელესმა, ელექტროქიმიური კომბინატის „ბიტერფელდის“ ბრიგადის ბრიგადირმა ვ. ბიუხნერმა. მიტინგის მონაწილენი მჭახარე ტაშით შეხვდნენ ვ. ულბრიხტისა და ა. ი. მიქოიანის სიტყვებს. მიტინგის შემდეგ სტუმრები იყვნენ ქიმიკოსთა ქალაქ ძერჟინსკში, სადაც მათ ეგრეთვე ზეიმური შეხვედრა მოუწყეს.

დელეგაციის მეორე ჯგუფმა ო. გროტევოლის მეთაურობით, რომელსაც თან ახლავს გორკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ი. ჩეკუნოვი, ღრის პირველ ნახევარში ქალაქის ღირსშესანიშნაობანი დათვალიერა.

დელეგაციის წევრები — სახალხო პალატის თავმჯდომარის მოადგილე გერმანიის ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე გ. ხომანი და სხვა გერმანული სტუმრები ეწვივნენ ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს. გერმანელმა მეგობრებმა ამ დაათვალიერეს ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ კონსტრუირებული რადიოსახმი ხელსაწყოების გამოფენა. შემდეგ ეზოში, ინსტიტუტის მოედანზე გერმანელ სტუმრებს შეხვდნენ მეცნიერი მუშაკები და მუშები.

ინსტიტუტის დათვალიერების შემდეგ დელეგაციის წევრები შეუერთდნენ ჯგუფს, რომელსაც მეთაურობს ო. გროტევოლი. ისინი ერთად ეწვივნენ მაქსიმ გორკის სახელობის მუზეუმს.

გორკი, 16 ივნისი. (საკდესი). დღეს ვეიან საღამოს ვოლგის ქალაქ გორკში ორი დღის ყოფნის შემდეგ სპეციალური მატარებლით მოსკოვს გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. გერმანელ სტუმრებთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი.

ვაგზალში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსული მეგობრები და ამხანაგი ა. ი. მიქოიანი გააცილეს ოლქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

ბაქანზე იყვნენ ქალაქ გორკის მუშათა კოლექტივების წარმომადგენლები.

ვ. ულბრიხტმა და ო. გროტევოლმა გულითადი მადლობა გადაიხადეს პატივისცემისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ვოლგის ძველი ქალაქის მცხოვრებლებმა გაუწიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებს.

* * *

17 ივნისს დილით საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან მოსკოვს დაბრუნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ ვალტერ ულბრიხტი და ოტო გროტევოლი.

მოსკოვში დაბრუნდა რ. ი. მალინოვსკი

17 ივნისს მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი. საბჭოთა გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფთან ერთად იგი იყო ვენაში საპასუხო მეგობრული ვიზიტით ავსტრიის თავდაცვის მინისტრის ფ. გრაფის მიწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს რ. ი. მალინოვსკის შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მარშლები ი. ს. კონევი, ვ. დ. სოკოლოვსკი, ა. ა. გრეჩკო, ი. ქ. ბაგრამიანი და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სარდლობის სხვა წარმომადგენლები, აგრეთვე ავსტრიის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში ო. აიზელსბერგი. (საკდესი).

მიიღე საჩუქრები, ჩვენო სამშობლო!

მახარაძის რაიონმა 14 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 12.552 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 12.545 ტონისა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 2.200 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი.

რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს 1 ივლისამდე გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 2.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

* * *

ლანჩხუთის რაიონის მეჩაიეებმა 13 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოკრეფილია 3.504,2 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 3.478 ტონისა.

რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ივნისში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 700 ტონა ჩაის ფოთოლი.

* * *

გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 15 ივნისისათვის 101 პროცენტით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოკრეფილია 3.015 ტონა ჩაის ფოთოლი, მნიშვნელოვნად მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს ივნისში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 600 ტონა ჩაის ფოთოლი.

ამბროლაურის რაიონმა 15 ივნისისათვის შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით, კვერცხისა — 140 პროცენტით, ტყავის ნედლეულისა — 101 პროცენტით.

* * *

ლენინგორის რაიონმა 15 ივნისისათვის ხორცის სახელმწიფო შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 100 პროცენტით, რძისა — 100 პროცენტით, მატყლისა — 124,5 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

* * *

ზესტაფონის რაიონმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 130,2 პროცენტით, რძისა — 105,7 პროცენტით, კვერცხისა — 100,5 პროცენტით. (საკდესი).

* * *

ცაგერის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 ივნისისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა: ხორცისა — 100,4 პროცენტით, ყველისა — 100 პროცენტით, კვერცხისა — 101,6 პროცენტით.

10 დღეში ავიღოთ პურეულის მოსავალი

საკოლმეურნეო მინდვრებზე შვიდწლედის პირველი წლის პურეული მწიფდება. შემოდის ხვავი და ბარაქა, ზოგან უკვე შეუდგნენ მოსავლის აღებას. კიდევ რამდენიმე დღე, და პურეულის მკა ძალზე ფართოდ გაჩაღდება. ამოქმედდა კოლმეურნეობათა მძლავრი ტექნიკა. ველის „ხომალდები“ გუგუნებენ ვრცელ მინდვრებზე.

სახელმოხვეჭილი წითელწყაროელი კომბაინერის გიორგი დოლიძის ინიციატივას — 10 **სამუშაო დღეში უდანაკარგოდ ავიღოთ პურეულის** მოსავალი — ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის კომბაინერები. გაჩაღდა სოციალისტური შჯიბრება, დიადი ლაშქრობა მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში უდანაკარგოდ აღებისათვის.

დღის „კომუნისტში“ დაბეჭდილია ცნობები სახელოვან მექანიზატორთა შრომითს გამარჯვებებზე. ამიერიდან მოსავლის აღების სეზონში ყოველდღიურად დაიბეჭდება ცნობები წარჩინებულ კომბაინერთა წარმატებების შესახებ, იმათ შესახებ, ვინც ყველაზე მეტად გამოიჩენს თავს პურეულის აღებაში.

ალაზნის ველზე ხვავდება ხორგალი

ალაზნის ველზე ხშირად წვიმს, მაგრამ ზაფხულმა იმარჯვა, თავისი გაიტანა. მზემ, დროგამოშვებით რომ აფრქვევს მცხუნვარე სხივებს, თავთავიანი კულტურები მოამწიფა. ცის დასალიერამდე გაშლილი ყანები ოქროსფრად აელვარდა. მომწიფებული მარცვლის სიმრავლემ თავთავებს თავი დაახრევინა.

განუწყვეტლივ გუგუნებენ მინდვრის მძლავრი ხომალდები, ისმის კოლმეურნეთა ომახიანი შეძახილები. ხალხი გროვდება წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კალოებსა და საველე საწყობებში. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა შვიდწლედის პირველი წლის უხვი მოსავლის დაჩქარებით აღებაზე ფიქრობს.

მინდვრის მეველე ფორე ფხოველიშვილი 85 წლისაა, მაგრამ მოხუცებულობამ ვერ დაძლია, დღეში სამ-ოთხჯერ შემოუვლის ორი ათას ჰექტარ ნთესს.

— რას იტყვი წლევანდელ მოსავალზე, საწყობები იკმარებს?

თმაგათეთრებულმა მოხუცმა ოფლი მოიწმინდა, თვალუწვდენელ ველს გახედა და გვითხრა:

— არა, შვილებო. ჩემს მახსოვრობაში უხვმოსავლიანი წელი ბევრი ყოფილა, მაგრამ ასეთი არ მახსოვს. საწყობები არ გვეყოფა.

მოხუცის ნაამბობი არ გვაეჭვებდა, მაგრამ მკის პირველ შედეგებს მაინც გავეცანით. მართლაც უხვი მოსავალია. სამ დღეში 202 ჰექტარი ქერი მომკეს. შარშანდელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე თერმეტი ცენტნერით მეტი მოსავალია აღებული. აგრეგატების მუშაკებმა გამოცდა სასახელოდ ჩააბარეს.

კომბაინის აგრეგატმა, რომელსაც ზაქარია ალადაშვილი ხელმძღვანელობს, ორ დღეში 65 ტონა ქერი გალეწა. ვლადიმერ გურაშვილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინის ბუნკერიდან ორდღენახევარში 68 ტონა ქერი გადმოტვირთა. კარგად იმუშავეს ბორის და იოსებ ბაგალიშვილების, ალექსი ნარინდოშვილისა და გიორგი ჯავაშვილის აგრეგატებმაც.

* * *

ხორბლის მკა დაიწყო. ოცდახუთი წელია კომბაინერად მუშაობს ვლადიმერ გურაშვილი, ერთი წუთითაც არ ფერხდება მისი ნაცადი კომბაინი. შვილი — ელგუჯაც გვერდით ჰყავს მეშტურვალედ. გურაშვილებმა პირველ დღესვე გაანადგეს წითელწყაროს ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა მომართვის პასუხად ნაკისრი ვალდებულება.

მარჯვენას უქნებენ ტრაქტორისტ გიორგი ნიკუაშვილსაც. ასი მეტრიც არ ჰქონდა გავლილი აგრეგატს, კომბაინერმა რომ დაიძახა, „ბუნკერი სავსეაო“. სწრაფად მივიდა თვითსაცლელი ავტომანქანა. აგრეგატის გაუჩერებლად დაცალა ბუნკერი. თვრამეტი ჰექტარი ხორბალი მომკა. ბუნკერიდან ოთხას ცენტნერამდე ოქროსფერი მარცვალი გადმოტვირთა. 22 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე ცოტა როდია!

ხორბლის ყანებში დაცურავენ ზ. ალადაშვილის, ბ. ბაგალიშვილის, ა. ნარინდოშვილის, გ. ჯავაშვილისა და ი. ბაგალიშვილის კომბაინის აგრეგატები. „საველე შტაბი“ მინდვრის ხომალდების მეთაურებისაგან სახიხარულო ცნობებს იღებს. არც ერთი არ არის ისეთი, მკის დღიური ნორმა 150 პროცენტით მაინც რომ არ შეასრულოს. მექანიკოსი ზაქარია გურაშვილი დღედაღამ მექანიზატორებთან არის. თუ ვინმეს რამე გაუჭირდა, ეხმარება. თავისი ხელით აკეთებს დაზიანებულ ნაწილებს.

მარტო მომკა არ კმარა. მარცვალი თუ არ გაიწმინდა და არ გაშრა, დაზიანდება. ამიტომ არის, რომ წნორელები დღედაღამ არ წყვეტენ მუშაობას. შალვა ფხოველიშვილი შეუფერხებლად მართავს მარცვალმტყორცნს. დღეში 30 ტონა ხორბალს ანიავებს. ავტომანქანის მძღოლებსაც დიდი ჯაფა აწევთ. ვ. მოლაშვილს, თ. ბერიაშვილს, ჭ. მოლაშვილს და სხვებს ყოველდღიურად ათობით ტონა მარცვალი მიაქვთ კალოებზე, იქიდან კი საწყობებში.

ხორბლის გორას დახტრიალებენ კოლმეურნეები თამარ ალადაშვილი, ვარა თეგაშვილი, მაყვალა ძამიაშვილი და სხვები. მათგან

ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲖᲦᲣᲓᲔᲑᲡ!

ს კ კ პ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

გავამდიდროთ მარგანეცი

მარგანეცის მადნის გამდიდრების პროცესში იღებენ მაღალხარისხოვან კონცენტრატს, შუალედ პროდუქტს, გადანაყარსა და შლამებს. მადნის გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით მიღებული შუალედი პროდუქტი კვლავ განიცდის დამტვრევას, გაუწყლოებას, კლასიფიკაციას და გამდიდრებას. ჭიათურის ზოგიერთ ფაბრიკაში განხორციელებულია მადნის სტადიური, ელექტრომაგნიტური და სალექი მანქანებით გამდიდრება. გამდიდრების პროცესში მიღებული მაღალხარისხოვანი კონცენტრატის მომხმარებელი არიან შავი მეტალურგიის ფეროშენადნობთა ქარხნები. იგი ამავე დროს ძვირფასი საექსპორტო ნედლეულია.

მიუხედავად იმისა, რომ მარგანეცის მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში სისტემატურად უმჯობესდება გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესი და ინერგება ახალი, უფრო სრულყოფილი მოწყობილობანი, ლითონური მარგანეცის ამოკრების კოეფიციენტი ჯერ კიდევ დაბალია. მცირეა მაღალხარისხოვანი კონცენტრატის გამოსავალიც. მარტო სამ თვეში პირველი და მეორე ხარისხის კონცენტრატის გამოსავლის გეგმის შეუსრულებლობით მეტალურგიულ ქარხნებს დავაკლით ათასობით ტონა სასაქონლო პროდუქცია. ჯერ კიდევ დიდია ლითონური მარგანეცის შემცველობა გადანაყარსა და შლამებში. ეს კი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ გამამდიდრებელი ფაბრიკები არაერთგვაროვან ნედლეულს იღებენ. გასამდიდრებელი მარგანეცის მადნებთან ერთად ფაბრიკებში იგზავნება მჩატეფორებიანი და კარბონატული მადნები, მწვარი და ბელტა. დასახელებული მარგანეცის მადნის სახესხვაობანი განლაგებული არიან მარგანეცის სამუშაო ფენში ფუჭი ქანების შუაშრეებთან ერთად. მექანიზებული ტვირთვის დროს აღნიშნული მადნის ყველა სახესხვაობა ერთიმეორეში ირევა და იგზავნება ფაბრიკაში გასამდიდრებლად. გამდიდრებისუნარიანობისა და ფიზიკური თვისებების მიხედვით კი მჩატეფორებიანი, მწვარი და კარბონატული მადნები მკვეთრად განსხვავდებიან გასამდიდრებელი მარცვლოვანი მარგანეცისაგან. იმისათვის, რომ მკვეთრად გაიზარდოს პირველხარისხოვანი მარგანეცის გამოსავალი და შემცირდეს მეოთხე ხარისხის პროდუქცია, აუცილებელია გაუმჯობესდეს სანგრევებში მარგანეცის მადნის სელექტიური გამოღება, პირველადი გამდიდრება.

ამ ღონისძიებებით მინიმუმამდე შემცირდება ლითონური მარგანეცის დანაკარგები გადანაყარში. გამამდიდრებელ ფაბრიკებში პირველი და მეორე ხარისხის მარგანეცის გამდიდრების უზრუნველსაყოფად საჭიროა შუალედი პროდუქტების გამდიდრების მოწყობა.

ჭიათურის მარგანეცის მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში ახალი ტექნოლოგიური პროცესით შესაძლებელია მაღალი ხარისხის კონცენტრატის გამოსავალი წლიურად მნიშვნელოვანი როდენობით გადიდდეს. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომბინირებული გამდიდრების სქემის შემოღებას. ამ დიდი ღონისძიების განსატარებლად ჭიათურის მარგანტრესტის გასული წლის სექტემბერ-ოქტომბერში უნდა მიეღო 40 ცალი სპეციალური 2 BK-5 ტიპის ელექტრომაგნიტური სეპარატორი. მაგრამ დღემდე ამ საქმის მოგვარება არ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, მაღაროებს გეგმით გათვალისწინებული აქვთ მიმდინარე წელს დაბალხარისხოვანი პროდუქციის გადამუშავებით დაამზადონ ათეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი კონცენტრატი. ამ დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად ფაბრიკებში დანერგილ უნდა იქნას ახალი ტიპის ელექტრომაგნიტური სეპარატორები და მაღალი სიხშირის სალექი მანქანები.

მაღალხარისხოვანი კონცენტრატის მიღება, ლითონის ამოკრებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდა შესაძლებელია მიღწეულ იქნას ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური ავტომატიზაციის გზით. ამ მიმართულებით ჭიათურის მარგანეცის მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში ცოტა რამეა გაკეთებული. ამ დარგში მუშაობა დღეისათვის განიცადზღვრება მხოლოდ პროექტების შედგენით. გათვალისწინებულია 1960-1961 წლებში ავტომატურ მართვაზე გადაყვანილ იქნას ლენინის სახელობისა და „ახალი ითხვისის“ მაღაროების პირველი და მეორე რიგის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკები, პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკები და წყალსადენები.

1959-1965 წლებში გათვალისწინებულია მარგანეცის ამოღების გადიდება 35 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 14 პროცენტით. სასაქონლო პროდუქციის ზრდა ძირითადად ითვალისწინებს მაღალ ხარისხოვანი პროდუქციის დამზადებას. შვიდწლიანი გეგმის მიხედვით ჭიათურაში აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკები.

შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა დაჩქარდეს მოქმედი ფაბრიკების რეკონსტრუქცია და ახალი ფაბრიკების მშენებლობის ტემპი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობისათვის მაღალხარისხოვანი მარგანეცის მიწოდება.

კ. ჯინჭველაშვილი,
ჭიათურის მარგანტრესტის მთავარი გამამდიდრებელი.



ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ფეხსაცმლის ფაბრიკაში მრავალი ტექნიკური გაუმჯობესება დაინერგა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და წარმოების კულტურა, გაუმჯობესდა ფეხსაცმლის ხარისხი. აქ მაისის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4.500-მდე წყვილი ფეხსაცმელი.

ფაბრიკის კოლექტივი მაღალნაყოფიერად მუშაობს ივნისშიც. კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღისათვის — 24 ივნისისათვის შეასრულოს ნახევარი წლის გეგმა.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ავტომატიზაციისა და მექანიზაციის შემდგომი ტექნიკური პროგრესის საკითხებს მიეძღვნა საწარმოო-ტექნიკური კონფერენცია, რომელიც ამას წინათ გაიმართა ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში.

საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი დ. ქართველიშვილი. მან ილაპარაკა იმ მუშაობის შესახებ, რაც ქარხანაში ხორციელდება ახალი ტიპის ავტომობილების — ხუთი ტონის ტვირთამწეობის „გაზ-605“ მარკის სატვირთო ავტომობილის და 8 ტონიანი გამწეგამსაბამელი მანქანის „კაზ-606“ ათვისებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელი ტიპის ავტომანქანებს შვიდწლედში მხოლოდ ქუთაისის საავტომობილო ქარხანა გამოუშვებს.

ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსის მოადგილემ ე. ჯოშვილმა კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრა ავტომობილმშენებლობაში პლასტმასების გამოყენების პერსპექტივებზე. ლაბორატორიის მუშაკებმა შეძლეს პლასტმასისაგან დაემზადებინათ წყლის დგუშის ფრთოვანა, გამოცდის პროცესში კაპრონის ნარჩენებისაგან ავტომანქანის ზოგიერთი სხვა დეტალის დამზადება. თუ რამდენად პროგრესული და პერსპექტიული ეს პლასტმასების გამოყენება, ეს იქიდან ჩანს, რომ წყლის დგუშის ფრთოვანას თუჯისაგან დამზადებისას აღნიშნულმა დეტალმა საბოლოო ფორმის მიღებამდე დამუშავების 12 სხვადასხვა ოპერაცია უნდა გაიაროს, მაშინ როცა პლასტმასისაგან დამზადებული იგივე დეტალი არავითარ მექანიკურ დამუშავებას არ მოითხოვს, ამასთან უფრო მსუბუქია.

როგორც ცნობილია, ქარხნის კოლექტივმა შექმნა საბადო-საპლანტაციო მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის „რიონის“ საცდელი ნიმუშები. ეს ტრაქტორი ფართო გამოყენებას ჰპოვებს სოფლის მეურნეობაში. სწორედ ამიტომ, თქვა კონფერენციაზე მოხსენებით გამოსულმა ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის თ. ნაზარიშვილმა, ამჟამად გაჩაღებულია მზადება ტრაქტორების სერიული წარმოებისათვის.

ქარხნის შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგემ ნ. დუნდუამ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ახლა საჭედლო საამქროში ხორციელდება შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად.

საწარმოო-ტექნიკურმა კონფერენციამ ცხადყო, რომ ქარხნის კოლექტივი შეუპოვრად იბრძვის ტექნიკური პროგრესისათვის.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ

მოყენების პერსპექტივებზე. ლაბორატორიის მუშაკებმა შეძლეს პლასტმასისაგან დაემზადებინათ წყლის დგუშის ფრთოვანა, გამოცდის პროცესში კაპრონის ნარჩენებისაგან ავტომანქანის ზოგიერთი სხვა დეტალის დამზადება. თუ რამდენად პროგრესული და პერსპექტიული ეს პლასტმასების გამოყენება, ეს იქიდან ჩანს, რომ წყლის დგუშის ფრთოვანას თუჯისაგან დამზადებისას აღნიშნულმა დეტალმა საბოლოო ფორმის მიღებამდე დამუშავების 12 სხვადასხვა ოპერაცია უნდა გაიაროს, მაშინ როცა პლასტმასისაგან დამზადებული იგივე დეტალი არავითარ მექანიკურ დამუშავებას არ მოითხოვს, ამასთან უფრო მსუბუქია.

როგორც ცნობილია, ქარხნის კოლექტივმა შექმნა საბადო-საპლანტაციო მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის „რიონი“ საცდელი ნიმუშები. ეს ტრაქტორი ფართო გამოყენებას ჰპოვებს სოფლის მეურნეობაში. სწორედ ამიტომ, თქვა კონფერენციაზე მოხსენებით გამოსულმა ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის თ. ნაზარიშვილმა, ამჟამად გაჩაღებულია მზადება ტრაქტორების სერიული წარმოებისათვის.

ქარხნის შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგემ ნ. დუნდუამ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ახლა საჭედლო საამქროში ხორციელდება შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად.

საწარმოო-ტექნიკურმა კონფერენციამ ცხადყო, რომ ქარხნის კოლექტივი შეუპოვრად იბრძვის ტექნიკური პროგრესისათვის.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲖᲦᲣᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის № 2 ბრძმედის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდებისათვის. ᲮᲣᲠᲐᲗᲗᲐᲜ: № 2 ბრძმედის მოწინავე მექურე რ. ხუციშვილი.

ფოტო გ. კიკვაძისა და ხ. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეღვინეობის მძლავრი მრეწველობა შეიქმნა, რომელიც ინდუსტრიულ საფუძველზე ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მრეწველობის ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის საქმეში თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული, მაინც ბევრი ნაკლოვანებაა.

უწინარეს ყოვლისა, ღვინის ქარხნების ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ სუსტია. მრეწველობაში გამოყენებულია ისეთი მანქანები და აპარატები, რომელთა უმრავლესობა გასულ საუკუნეში იყო შექმნილი და დღემდე მათი მნიშვნელოვანი კონსტრუქციული გაუმჯობესება არ მომხდარა.

თეთრი, ხარისხოვანი ღვინო-მასალების გამომუშავების ტიპური სქემები და ყურძნის საჭყლეტ-საწნები მანქანები, რომლებიც საფუძველად უდევს პირველადი მეღვინეობის ქარხნების დაპროექტებას, ვერ უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის ღვინო-მასალების მიღებას. წარმოებაში არსებული ყურძნის გადასამუშავებელ მანქანებში პროდუქტი ზედმეტ დაჟანგვას, გახეხას და ლითონით გამდიდრებას განიცდის.

საბჭოთა კავშირის ბევრ ღვინის ქარხანაში, აგრეთვე საზღვარგარეთაც ტკბილის დუღილის და ღვინის შენახვისათვის ფართოდ იყენებენ დიდი ტევადობის რკინაბეტონის რეზერვუარებს და ლითონის ცისტერნებს. დიდი სტაციონარული ჭურჭლის გამოყენება საგრძნობლად ამცირებს დანაკარგებს და რამდენჯერმე ზრდის ღვინის შესანახი სათავსების საწარმოო ფართობის გამოყენების შესაძლებლობას. ამ უკანასკნელს კი ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში, სადაც ღვინის შესანახი სათავსების დიდი ნაკლებობაა, სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება.

ზოგიერთი მეღვინე-სპეციალისტის აზრით, დიდი ტევადობის ჭურჭელი უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის ხარისხზე.

ცნობილია, რომ დიდი ტევადობის ჭურჭლის ნორმალური ექსპლოატაციისათვის გარკვეული ტექნოლოგიური პირობები არსებობს, რომელთა დაუცველობას მართლაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ღვინის ხარისხს. მაგალითად, ტკბილის დუღილის დროს თუ არ გვექნა დუღილის ტემპერატურის ხელოვნური რეგულირების საშუალება, დაზღვეული არ ვიქნებით, რომ დიდ ჭურჭელში დადუღებული ღვინო-მასალა მაღალი ხარისხის დადგება.

პირველადი მეღვინეობის ყველა ქარხანაში, რომელთა მშენებლობა უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებული, ახალგაზრდა ღვინის დუღილისათვის გათვალისწინებულია დიდი ტევადობის რკინაბეტონის რეზერვუარები, ხოლო დუღილის ტემპერატურის მოსაწესრიგებლად დაპროექტებულია მაცივარ-დანადგარები. დღემდე თითქმის არც ერთ მათგანში მაცივარ-დანადგარის მონტაჟი არ არის დამთავრებული, ხოლო იქ, სადაც ამ დანადგარის მონტაჟი დამთავრებულია, მისი ექსპლოატაცია არ დწყებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური სიცივის გამოყენება ჩვენი ქვეყნის კვების მრეწველობის მრავალი საწარმოსათვის თუ ჩვეულებრივ საქმეს წარმოადგენს, ღვინის მრეწველობის ქარხნებში, გამონაკლისის გარდა, ტექნოლოგიურ პროცესებში ხელოვნური სიცივე არსად არ არის გამოყენებული.

„სამტრესტის“ ხელმძღვანელობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს მუშაობის ამ უბანს და მიიღოს ზომები იმისათვის, რომ დამთავრდეს მონტაჟი და საექსპლოატაციოდ იქნას გადაცემული ყველა მაცივარ-დანადგარი და შემდეგში არ დაუშვან ახალი ქარხნების ექსპლოატაციის დაწყება მაცივარ-დანადგარის უქონლად.

ჩვენი ქვეყნის ლუდის, არყის, მინერალური და ხილეულის წყლების, რძის და სხვა წარმოებში ფართოდ არის დანერგული ჩამოსხმის ოპერაციების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ხოლო ღვინის მრეწველობაში კი მოწინავე ტექნიკა ძლიერ სუსტად ინერგება.

ჩვენი რესპუბლიკის ღვინის ქარხნებში მხოლოდ ნახევრად ავტომატური ბოთლის სარეცხი მანქანები გვაქვდება, ანდა ბოთლის რეცხვას ხელით აწარმოებენ. ჩამოსასხმელი და საცობის გამკეთებელი მანქანები მცირე წარმადობისა და ნახევრად ავტომატურია. ბოთლის გაფორმება მხოლოდ ხელის საშუალებით ხდება. საჭიროა ღვინის მრეწველობამ ბოლო მოუღოს ტექნიკურ ჩამორჩენილობას და უფრო გაბედულად დანერგოს ტექნიკური პროგრესი.

სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას საქართველოში ძირითადად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მევენახეობის განყოფილება აწარმოებს.

ეს ინსტიტუტი სერიოზულ მუშაობას ახორციელებს ღვინის ტექნოლოგიის დარგში, მაგრამ ეს მუშაობა უმთავრესად ეხება კუპაჟების და სხვადასხვა ფიზიკური და ბიოლოგიური საშუალებებით ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას, ღვინოში ქიმიური ცვლილებების შესწავლას, ღვინის მრეწველობის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და საწარმოო პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის საკითხებს ინსტიტუტის შრომებში და გეგმებში ვერ შეხვდებით. ამჟამად ინსტიტუტს არა აქვს ამ დარგში მუშაობის გაძლიერების საშუალება, არა ჰყავს კადრები და არა აქვს სამეცნიერო-საკვლევი ბაზა.

არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს, რომელსაც მეღვინეობის ტექნიკის პროგრესის საკითხები აქვს მინდობილი, არა ჰყავს არც ერთი მეღვინე-ტექნოლოგი. შეუწყნარებელია ისიც, რომ ჩვენი მეცნიერები და კონსტრუქტორები დაკავებული არიან მეორეხარისხოვანი და ნაკლებად აქტუალური საკითხების გადაწყვეტით. მოვიყვანთ მაგალითი. როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში ღვინის ნაწარმის ჩამოსხმა ხდება 0,75 და 1,0 ლიტრის ტევადობის ბოთლებში. ბოთლის სარეცხი მანქანებიც ასეთი ჭურჭლის სარეცხად უნდა იყოს გათვლილნი. სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ დაამუშავა ბოთლის სარეცხი მანქანის ახალი კონსტრუქცია, რომელიც მხოლოდ 0,5 ლიტრ ბოთლზეა გათვალისწინებული. ცხადია, ასეთ მანქანას რესპუბლიკის ღვინის მრეწველობაში ვერ გამოვიყენებთ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ღვინის მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის საკითხებს. მართალია, ამ კომიტეტმა შეისწავლა რამდენიმე ტიპის ყურძნის გადასამუშავებელი ახალი მანქანების მუშაობა, ამის შედეგად გამომუშავებულ იქნა საჭირო რეკომენდაციები, მაგრამ ეს საკმარისი რომ არ ... [illegible]

საჭიროა ის კვალიფიციური რეკომენდაციები, რომლებიც კომიტეტის მონაწილეობით იქნება შემუშავებული მრეწველობისათვის, დროულად და მთლიანად დაინერგოს წარმოებაში.

ა. ღამბაშიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის ღვინის მრეწველობის მთავარი სპეციალისტი.

კომუნიზმის მშენებლობის თეორიული პრობლემები

ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲘᲪᲮᲝᲡ ᲝᲛᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ აღნიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმის, აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების განხორციელება კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნის თანამედროვეობის ძირითადი პრობლემის —საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის. დასკვნა, რომელიც ჯერ კიდევ პარტიის XX ყრილობამ გააკეთა იმის შესახებ, რომ ომის ფატალური გარდუვალობა არ არსებობს, სავსებით დადასტურდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე საბჭოთა ქვეყანა მთლიანად გარემოცული იყო ან უშუალოდ იმპერიალისტური სახელმწიფოებით ან მათი სატელიტებით, რომლებიც სხვადასხვა ანტისაბჭოთა ბლოკების სისტემაში შედიოდნენ. საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე, 1921 წელს, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „გარს გვარტყია ისეთი ადამიანები, კლასები, მთავრობები, რომლებიც აშკარად გამოხატავენ უდიდეს სიძულვილს ჩვენდამი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ წამს მოსალოდნელია ყოველგვარი შემოსევა“.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომამდე დედამიწის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (მილიარდნახევარი ადამიანი) ცხოვრობდა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში, რომლებიც იმპერიალიზმის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო-სტრატეგიულ რეზერვებს წარმოადგენდნენ. მოლიანად მსოფლიო იმპერიალიზმის გაერთიანებული ძალები გაცილებით სჭარბობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ძალებს.

ასეთ პირობებში საბჭოთა ხალხის მთავარი ამოცანა იყო კომუნისტური პარტიის მეთაურობით დაეცვა და განმტკიცებინა მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყანა, მძიმე მრეწველობის განვითარების საფუძველზე უმოკლეს ვადაში გადაექცია საბჭოთა კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელსაც თავდაცვის ყველა აუცილებელი საშუალება ექნებოდა იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ.

ახორციელებდა რა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკას, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში პარტიის XXI ყრილობაზე, — ჩვენმა ხალხმა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, მოახდინა ულრმესი გარდაქმნები. გადალახეს რა თავიანთ გზაზე ყველა სიძნელე, ამსხვრევდნენ რა კლასობრივი მტრებისა და მათი აგენტურის — ტროცკისტების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვათა წინააღმდეგობას, ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მოიპოვეს ისტორიული გამარჯვებანი. ააშენეს ახალი, სოციალისტური საზოგადოება.

მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა ხალხმა გაანადგურა მსოფლიო იმპერიალისტური რეაქციის ძალები და ამით ხელსაყრელი პირობები შექმნა სახალხოდემოკრატიული რევოლუციების გასამარჯვებლად ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში.

მას შემდეგ, რაც სოციალიზმი ერთი ქვეყნის ფარგლებს გასცდა და მსოფლიო სისტემად გადაიქცა, ხოლო იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა იშლება. ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე ძირეულად შეიცვალა კაპიტალიზმის საზიანოდ და სოციალიზმის სასარგებლოდ. ახლა მსოფლიოს მთელი მოსახლეობის მესამედზე მეტი — 950 მილიონზე მეტი კაცი — სოციალისტურ ქვეყნებში ცხოვრობს. უკანასკნელ წლებში მილიარდზე მეტმა კაცმა მოიშორა კოლონიური მონობის უღელი და შექმნა თავიანთი ეროვნული, სუვერენული სახელმწიფოები. ამრიგად, კაცობრიობის უმეტეს ნაწილში იმპერიალიზმმა დაკარგა ის ძალა, რაც წინათ ჰქონდა.

იმ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებიან იმპერიალისტური მონობის მდგომარეობაში, დღითიდღე ძლიერდება და ფართოვდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამჟამად საბჭოთა კავშირი გარემოცული აღარ არის მტრული სახელმწიფოებით. მისი უშუალო მეზობლები არიან უმთავრესად სოციალისტური სახელმწიფოები — პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე ქვეყნებიდან მხოლოდ ნორვეგია, თურქეთი და ირანი არიან ჩაბმული აგრესიულ იმპერიალისტურ ბლოკებში. ეს იმას ნიშნავს, რომ გეოგრაფიული გაგებით აღარ არის საბჭოთა კავშირის კაპიტალისტური გარემოცვა, რადგან საბჭოთა კავშირი აღარ არის მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო.

აღარ არსებობს აგრეთვე ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური გარემოცვა პოლიტიკური და ეკონომიური გაგებით, რადგან საბჭოთა კავშირი უკვე დიდი ხანია გამოვიდა საერთაშორისო იზოლაციის მდგომარეობიდან, ხოლო მსოფლიო სოციალისტური სისტემა უდიდეს ძალად გადაიქცა. ამჟამად არის ორი მსოფლიო საზოგადოებრივი სისტემა: დრომოჭმული კაპიტალიზმი და მზარდი სასიცოცხლო ძალებით აღსავსე სოციალიზმი, რომლის მხარეზეა ყველა ქვეყნის მშრომელთა სიმპათიები. 1917 წელს საბჭოთა კავშირის სამრეწველო წარმოების ხვედრითი წონა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში შეადგენდა 3 პროცენტზე ნაკლებს, 1937 წელს — 10 პროცენტს, ხოლო 1958 წელს — 20 პროცენტს. თუ ყველა სოციალისტურ ქვეყანას ავიღებთ, მათი წილი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციაში ამჟამად შეადგენს დაახლოებით ერთ მესამედს. სამრეწველო წარმოების საშუალო წლიურმა მატებამ მთელ სოციალისტურ ბანაკში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე (1955-1958 წლები) 11 პროცენტი შეადგინა, მაშინ როცა მთელ კაპიტალისტურ სამყაროში იგი 3 პროცენტზე ნაკლები იყო. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს ყველა საჭირო წინაპირობა აქვთ იმისათვის, რომ მიმდინარე შვიდწლედში პირველობა მოიპოვონ მსოფლიო წარმოებაში.

მსოფლიო სოციალისტური ბანაკი მძლავრი ძალაა არა მარტო ეკონომიური, არამედ სამხედრო პოტენციალის მხრივაც. სოციალისტური ბანაკის მთავარი ძალა არის მასში შემავალი ქვეყნების ურღვევი პოლიტიკური ერთიანობა და დარაზმულობა. მსოფლიოში ახლა არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს აღადგინოს კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში, მოსპოს სოციალისტური ბანაკი.

წინანდელი ფორმულა კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ ამჟამად მოძველებულად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე იმიტომაც, რომ არ შეიძლება გავაიგივოთ ყველა არასოციალისტური ქვეყანა კაპიტალისტურ ქვეყანასთან. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თვით კაპიტალისტურ სამყაროში სერიოზული ცვლილებანი მოხდა. მეორე მსოფლიო ომამდე, თითქმის ყველა არასოციალისტური ქვეყანა, მათ რიცხვში კოლონიური ქვეყნები, შედიოდა იმპერიალისტურ ბანაკში. ამჟამად კი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობა — უმთავრესად ყოფილი კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნები, რომლებიც იმპერიალისტური მონობისაგან განთავისუფლდნენ, — არ მონაწილეობენ აგრესიულ იმპერიალისტურ ბლოკებში. პირიქით, ისინი აქტიურად იბრძვიან იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ და სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად შეადგენენ ანტიიმპერიალისტურ ფრონტს — „მშვიდობის ზონას“. ეს ზონა მოიცავს დედამიწის უდიდეს სივრცეს, რომელზეც ცხოვრობს თითქმის მილიარდნახევარი ადამიანი, ე. ი. კაცობრიობის ნახევარზე მეტი.

გამოდიოდა რა მსოფლიო ასპარეზზე ძალთა ახალი თანაფარდობიდან, პარტიის XX ყრილობამ წამოაყენა გაბედული თეზისი იმის შესახებ, რომ ჩვენს დროში აღარ არის ომის ფატალური გარდუვალობა. იგივეა ... [illegible] ... ომამდე, თითქმის ყველა არასოციალისტური ქვეყანა, მათ რიცხვში კოლონიური ქვეყნები, შედიოდა იმპერიალისტურ ბანაკში. ამჟამად კი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობა — უმთავრესად ყოფილი კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნები, რომლებიც იმპერიალისტური მონობისაგან განთავისუფლდნენ, — არ მონაწილეობენ აგრესიულ იმპერიალისტურ ბლოკებში. პირიქით, ისინი აქტიურად იბრძვიან იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ და სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად შეადგენენ ანტიიმპერიალისტურ ფრონტს — „მშვიდობის ზონას“. ეს ზონა მოიცავს დედამიწის უდიდეს სივრცეს, რომელზეც ცხოვრობს თითქმის მილიარდნახევარი ადამიანი, ე. ი. კაცობრიობის ნახევარზე მეტი.

გამოდიოდა რა მსოფლიო ასპარეზზე ძალთა ახალი თანაფარდობიდან, პარტიის XX ყრილობამ წამოაყენა გაბედული თეზისი იმის შესახებ, რომ ჩვენს დროში აღარ არის ომის ფატალური გარდუვალობა. ეგვიპტეში, ლიბანში, ერაყში, ტაივანის სრუტეში მომხდარმა ამბებმა სავსებით დაადასტურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამ დასკვნის სისწორე. თავის XXI ყრილობაზე ჩვენმა პარტიამ კიდევ ახალი ნაბიჯი გადადგა წინ საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების კეთილშობილურ სარბიელზე. მან წამოაყენა უფრო გაბედული თეზისი — გამოირიცხოს მსოფლიო ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან. ეს უტოპიაა, — შეიძლება თქვან პროფესიონალმა სკეპტიკოსებმა. ამასვე ამბობდნენ კაპიტალიზმის იდეოლოგები ადრე ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესახებ. მაგრამ ფაქტებმა აიძულა ისინი სულ სხვა ჰანგებზე დაიწყოთ ლაპარაკი. ახლა არავის არ ეპარება ეჭვი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულება არა მარტო უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე, არამედ იგი დიდად შეუწყობს ხელს საერთაშორისო მდგომარეობის გაჯანსაღებას.

ამერიკის იმპერიალიზმი განაგრძობს თავის აგრესიულ კურსს, რომელიც გამოხატავს შეერთებული შტატების კაპიტალისტური მონოპოლიების მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისაკენ. ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში შემავალი სხვა ქვეყნების მმართველი წრეები განაგრძობენ ატომური იარაღის დაგროვებას. დასავლეთი გერმანია სულ უფრო და უფრო იქცევა მილიტარიზმისა და რევანშიზმის კერად, ომის საფრთხის იმ კერად, რომლის მოსასპობად უხვად დაღვარეს სისხლი

მთავარია პროდუქციის ხარისხი

ლტა როდია დანაკარგები თამბაქოს, ყურძნის, ხილის და განსაკუთრებით ეთერზეთოვანი და ცხიმზეთოვანი ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების დროს. ესეც დიდ ზარალს აყენებს როგორც სოფლის მეურნეობას, ისე მრეწველობასაც.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც საშუალო, ისე უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების — აგრონომებისა და ტექნოლოგების მოშზადებას საერთოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და კერძოდ ხილისა და ბოსტნეულის შენახვა-გადამუშავების დარგში. ამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც სპეციალიზებული არიან ხილისა და ბოსტნეულის მოყვანაზე, საჭიროა ტექნიკური მინიმუმის კურსების მოწყობა კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის.

ყოველი ღონისძიებით უნდა გაძლიერდეს ტექნიკური პროპაგანდა ამ დარგში, გამოიცეს პოპულარული ბროშურები, მოეწყოს ლექციების ციკლი, საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის აგრონომთა გადასამზადებელი კურსები და სხვ.

ბუმბერაზებებს მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნოლოგიაში. უმაღლესი სასწავლებლების კათედრები და ამ დარგში მომუშავე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები ჯერ კიდევ შეუთანხმებლად მუშაობენ, არ ხდება მათი თემების კოორდინაცია, გაწეული მუშაობის შედეგების ერთიერთ გაზიარება და წარმოებაში დანერგვა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სექცია, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავების საკითხებზე იმუშავებს. ეს კი აუცილებელია არა მარტო ტექნოლოგიური, არამედ აგროტექნიკური, სელექციური, აგროქიმიური კვლევის შედეგებზე სწორი დასკვნების გამოსატანად. ამ საქმეს სათავეში უნდა ედგეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

აღნიშნული საკითხების მოგვარება უდავოდ შეიწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დანაკარგების შემცირებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ასორტიმენტის გაფართოებას და საბჭოთა ადამიანებისათვის მეტი, მაღალი ხარისხისა და კარგად გაფორმებული კვების პროდუქტების მიწოდებას.

პროფ. ხ. შალამბერიძე,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნოლოგიის კათედრის გამგე.

ლეტალური შედეგებისა და ნედლეულის დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანის საკითხების მოგვარებას შეუძლია მრავალი ათასი ტონა ხილი და ბოსტნეული გადაარჩინოს გაფუჭებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია ხილით, კენკრით, ბოსტნეულით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების დიდი შესაძლებლობა გვაქვს, მთელი რიგი საკითხები მაინც მოუგვარებელია.

ნედლეულსა და ტექნიკურ ბაზას შორის შეუსაბამობა მნიშვნელოვნად აფერხებს ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და გადამუშავებას. 1950 წელს ხილის საერთო მოსავლიდან მწარმოებლებს შეუსყიდველი დარჩათ დაახლოებით 130 ათასი ტონა ხილი, 1958 წელს კი 180 ათასი ტონა. სამომხმარებლო კოოპერაცია და საკონსერვო ქარხნები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ ხილისა და ბოსტნეულის მთელი მოსავლის შესყიდვას და გადამუშავებას.

საჭიროა აღმოვფხვრათ უთანაბრობა ნედლეულის რაოდენობასა და გადამუშავებული მრეწველობის სამძლავრეს შორის. წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად უნდა გაფართოვდეს საკვები პროდუქტების ასორტიმენტი, გაუმჯობესდეს მათი ხარისხი. მოძმე რესპუბლიკების მაგალითისამებრ მსხვილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა მოეწყოს გადამმუშავებელი პუნქტები ან ქარხნები სათანადო სამაცივრო მეურნეობითა და სახმობებით.

ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი და გადასამუშავებელი ქარხნებისა და პუნქტების ტიპური პროექტების შედგენისა და საკონსერვო ტარის, ყუთების, საფუთავი მასალების წარმოების საკითხების მოგვარებისათვის. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს და საგეგმო კომისიას.

განა შესაწყნარებელია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობას არ შეუძლია საკმაო რაოდენობით წლის ყოველ დროში მიიღოს ხილის ნატურალური წვენი, კარგად შენახული ხილი, ბოსტნეული და გადამუშავებული პროდუქტები, რომლებსაც არა მარტო კვებითი, არამედ დიეტური და სამკურნალო თვისებებიც აქვთ.

დიდ ზიანს აყენებს ჩვენს სახალხო მეურნეობას კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის რკინიგზით და ავტომანქანებით დაყრილად გადაზიდვა დაუხარისხებლად. ჯერ კიდევ დაბალია კარტოფილის მოსავლიანობა და დიდია დანაკარგები. როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირში ყველაზე იაფ ბოსტნეულს იძლევა მოსკოვთან ახლო მყოფი საბჭოთა მეურნეობა „ბოლშევიკი“, რომლის გამოცდილება არა მარტო კარტოფილის და სხვა ბოსტნეულის მოყვანის, არამედ შენახვის და ტრანსპორტირების საქმეში შესწავლილ და დანერგილ უნდა იქნას ჩვენი პირობების შესაბამისად.

საგრძნობი დანაკარგებია შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებისა და გადამუშავების დროს. განსაკუთრებით საშიშია ის დანაკარგები, რომლებსაც ვხვდებით ჭარხლის ძირების შეჭკნობის დროს. ეს იწვევს ძირის წონის შემცირებას და შაქრის დაკარგვას. ასეთი ნედლეული კარგავს მიკროორგანიზმების მიმართ გამძლეობას და ადვილად ავადდება. ამ დანაკარგების შემცირება შეიძლება ჭარხლის გროვების კარგად მოწყობილი ვენტილაციით და გადამუშავების სეზონის შემჭიდროებით, განსაკუთრებით გაზაფხულზე.

ლიტერატურა და ხელოვნება

ქართული დრამატურგიის საგანძური

პოლიკარპე კაკაბაძის პიესების კრებულის გამო

ქართულ საბჭოთა დრამატულ მწერლობას პ. კაკაბაძის სახით დიდი შემოქმედებითი ძალა ჰყავს. მის ნაწარმოებებში იშვიათი სიმკვეთრით გამოვლინდა ქართველი კაცის მახვილგონიერება და კომიკური ხასიათების ფართო პლანში გამოხატვის ნიჭი.

პ. კაკაბაძემ ჭარბი დიალექტის, ყარგონის გამოუყენებლად მონახა კომედიის ეროვნული ფორმა და ჭეშმარიტად ხალხურ ნიადაგზე დაყრდნობით შექმნა დიდი იდეურ-ესთეტიკური ღირებულების პიესები. თავის პიესებში იგი მარჯვედ იყენებს ხალხურ ნიღაბს, როგორც ეროვნული კომედიერგრაფიის შექმნის სათავეს და არსენალს, ახლებურ გაშუქებასა და იდეურ დატვირთვას აძლევს მას, ქმნის განზოგადებულ მხატვრულ სახეებს, რომლებიც მორალური, იდეური და ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს ემსახურებიან. „სიცილი, — წერდა გოგოლი, — გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ღრმაა, ვიდრე ამას ფიქრობდნენ დღემდე, მაგრამ არა ის სიცილი, რომელიც წარმოიშობა დროებითი გაღიზიანებით, ხასიათის ღვარძლიანი ავადმყოფური განწყობილებით“.

პ. კაკაბაძის პიესების ერთ-ერთი მთავარი ღირსება სწორედ ის არის, რომ მისი კომედიური ტიპები ჩვენში სიცილს ბადებენ არა „ღვარძლიანი ავადმყოფური განწყობილებით“, არამედ ადამიანის სურვილსა და ისტორიულ აუცილებლობას შორის ურთიერთობის კანონის დარღვევით, აქ სერიოზული მძაფრად უპირისპირდება სასაცილოს, სდევნის ამ უკანასკნელს და იმარჯვებს მასზე.

პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“ დიდი ხანია გამოსცადა დრომ და სამართლიანად მიაკუთვნა კლასიკურ ნაწარმოებთა რიცხვს. ბუნებრივია, რომ ორივე ნაწარმოები პ. კაკაბაძის პიესათა ახალი კრებულის დასაწყისშია შეტანილი. ამავე კრებულშია „დავით მეფე“, „დიმიტრი მეორე“, „სამი ასული“, „ციცინათელა“, „გათენების წინ“, „პაექრობა“, „ქარშხალი“. ასე რომ, წიგნში პ. კაკაბაძის თითქმის მთელი შემოქმედებაა წარმოდგენილი.

„ყვარყვარე თუთაბერი“ ახალი ქართული საბჭოთა დრამატურგიის ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო, როცა იგი დაიწერა ამ ოცდაათი წლის წინათ. განვლილი ხნის მანძილზე მას ოდნავაც არ დაუკარგავს აქტუალობა და ზემოქმედების ძალა. მწერალი ყვარყვარეს სახით მკაცრად ამხილებს მის წარმომშობ საზოგადოებას და ამასთან ერთად გვაფრთხილებს თანამედროვეებს, რომ ფხიზლად ვიყოთ, ვიცოდეთ ადამიანის შეცნობა, შეგვეძლოს მის არსებაში ჩაწვდომა, რათა ჩვენს შორისაც არ გაჩნდეს იგი.

ვ. ი. ლენინმა მხატვრული სახის ტიპიურობის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, თუ როგორ შორდება ხოლმე ტიპი კლასობრივ შეზღუდულობას, როგორ ჭარბად ატარებს კონკრეტულთან ერთად ზოგადს, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის და სიცოცხლეს განაგრძობს. ვ. ი. ლენინი წერდა: „იყო რუსული ცხოვრების ასეთი ტიპი — ობლომოვი. იგი სულ ტახტზე იყო წამოწოლილი და გეგმებს ადგენდა. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. რუსეთმა სამი რევოლუცია მოახდინა, ობლომოვები კი მაინც დარჩნენ, რადგან ობლომოვი იყო არა მარტო მემამულე, არამედ გლეხიც, არა მარტო გლეხი, არამედ ინტელიგენტიც, არა მარტო ინტელიგენტი, არამედ მუშაც და კომუნისტიც“. ლენინის ეს განსაზღვრა სავსებით შეეხება ყვარყვარეს სახესაც. აქ ისიც კარგად ჩანს, რა ყალბი აზრია, თითქოს „ყვარყვარე თუთაბერი“ მოძველდა თეატრებისათვის.

პ. კაკაბაძემ „კოლმეურნის ქორწინებაში“ ხარიტონის ძლიერ უარყოფით სახეს მკვეთრად დაუპირისპირა ახალი ადამიანი გვირისტინეს მაგალითით. მაგრამ პიესაში დადებითი მარტო გვირისტინე როდია. ნაწარმოების მთელი შინაგანი განწყობილება, მრწამსი და ტენდენცია სწორედ ახლის დამკვიდრებისაკენ, ძველის, ჩამორჩენილის სიცილით განდევნისაკენ არის მიმართული.

„კოლმეურნის ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა“ შრომის, საბჭოთა ადამიანის გმირობისა და თავდადების აპოლოგიაა. შრომა არის ბედნიერების სათავე, შრომაში პოულობს ადამიანი ნამდვილ სიხარულს — ასეთია პიესის იდეა. შრომისადმი პატივისცემაზე, მის სიკეთეზეა დაწერილი პ. კაკაბაძის „ციცინათელა“ და „პაექრობა“. „მე ვფიქრობ, — ამბობს „ციცინათელას“ მოქმედი პირი, — მხოლოდ ის არის ბედნიერი, ვინც უნარის შესაფერ საქმეს მიაგნებს: მაშინ მისთვის შრომა სიხარულია“. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ პიესას მაინც აკლია პ. კაკაბაძისათვის დამახასიათებელი მხატვრული განზოგადება და სრულყოფა.

პ. კაკაბაძის დრამატურგიაში სრულიად განცალკევებული ადგილი უჭირავს „დავით მერვეს“. პიესა დიდი ხნის მანძილზე იწერებოდა. ბევრი რამ ჩასწორდა-დაიხვეწა და საბოლოო სახით დაიბეჭდა კრებულში. პიესამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დაიწერა არა ერთი სტატია, გამოქვეყნდა. მიეცა მაღალი შეფასება და აი მაინც არ აღმოჩნდა რეჟისორი, რომელიც გაბედავდა მის სცენიურ განსხვეულებას (იყო მხოლოდ ერთი ცდა ქუთაისის თეატრში!). პიესა კი მეტად საყურადღებოა არა მარტო პ. კაკაბაძის შემოქმედებაში, არამედ ქართული დრამატურგიის თვალსაზრისითაც. თქმა არ უნდა, რომ იგი პ. კაკაბაძის პიესებს შორის ყველაზე რთული სახის ნაწარმოებია. „დავით მერვე“ ღრმად სიმბოლიურად გაარჩევნული კომედიაა. მწერალმა სწორად იგრძნო XIV საუკუნის დასაწყისის საქართველოს მაჯისცემა. შინაგანი და გარეშე ძალების აქტივობა, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი, განუზომლად დიდი უბედურება დაატეხა ქართველ ხალხს. დაქვეითდა კულტურა, მოჭარბდა უზნეობა, სიცრუე და გაუტანლობა დაეუფლა ქვეყანას, აოხრდა სოფელი და ქალაქი, სიკეთე შეცვალა ბოროტებამ.

ინდიფერენტიზმი და პასიურობა, რაც სრულიად უცხოა ქართველი კაცის ბუნებისათვის, მთელი ეპოქის დამახასიათებელ თვისებად ქცეულა. ასეთ პირობებში ხალხი ეძებდა გამოსავალს, რომ ქვეყანა ეხსნა. ეს დიდი მისია მწერალმა კახაბერს დაკისრა. იგი პიესაში არა ჩანს, მაგრამ მისი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. კახაბერში ნაჩვენებია ერის პოტენციური შესაძლებლობა. მასში ნაგულისხმევია საქართველოს უკვდავებისა და განახლების დიადი იდეაც.

ხალხს სჯერა, რომ კახაბერი მის სულში ზის, ამიტომ იგი ეროვნული გმირია. მოვა დრო და მის წინ ფართო სამოქმედო ასპარეზი გაიშლება. იგი გამოჩნდება როგორც რეალური ხელშესახები ძალა. ხალხი არ გაექცევა მას, თან გაჰყვება სამართლიანობისათვის ბრძოლაში, ამაზე მეტყველებს პიესის უკანასკნელი სტრიქონები, მეფე რომ ამბობს: „ჩემი მამის წმინდა დიმიტრის ხატით მოვიდა ერი. წინ უძღვის წმინდა კახაბერი. ქვეყანა აღდგა, რომ იბრძოლოს ცხოვრებისათვის, ჭეშმარიტებისათვის“, ამას თან ერთვის სცენიური გამოსახულების მანიშნებელი რემარკა: „სიღრმეში ჩრდილივით გამოჩნდება ცხენი და ზედ მხედარი კახაბერი, რომელსაც გულქანი ხმალს გადასცემს“. ამ ორ წინადადებაში გამხელილია პიესის იდეური კრედო. ასე ოპტიმისტურ ფინალს აძლევს მწერალი მის მიერ მეტად მძაფრ ტრაგიკომიკურ ხაზებში გამოხატულ წარსულს. შემთხვევითი არ არის, რომ ავტორმა კახაბერის გამოსახულებას, რომელიც ჩვენს წინ ჯერ კიდევ მოჩვენების სახით გაიელვებს, გულქანის ხელით მიაწოდა ხმალი. გულქანში ბევრია ქართველი ქალის თვისება. იგი ღრმად ეროვნული სახეა. მის თვალში ფასი დაუკარგავს ფუფუნებას, განცხრომას, რასაც ბახტანგ-ხანი ჰპირდება. მასში მეტია სიმტკიცე, გულადობა, ზნეობრივი სიწმინდე და შემმართებლობა. ამ მხრივ გულქანის სახეში სრულ გამოხატულებას პოულობს ის, რაც ქართველი ქალის საუკუნოვან ტრადიციებში და ეროვნულ ხასიათში ძევს. ეს გარემოებაც პიესის ოპტიმისტურ გადაწყვეტაზე მიუთითებს.

„დავით მერვე“ ფილოსოფიური სიღრმისა და განზოგადების შემცველი ნაწარმოებია. თეატრში მისი დადგმა დიდ ტაქტსა და შემოქმედებით გაბედულებას მოითხოვს. განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის სცენიური ფორმის მოძებნა. იგი უნდა დაიდგას ისე, რომ თანამედროვე ფართო მაყურებლისათვის გასაგები გახდეს გვიანფეოდალური საქართველოს ტრაგიკული სურათი, რომელიც კომედიის ჟანრშია გადაწყვეტილი. ეს კი ძალიან რთულია დღეს, მაგრამ ამაზე სერიოზულად უნდა იფიქრონ ჩვენმა თეატრებმა.

თხზულებათა კრებულში შეტანილია „სამი ასული“. პიესა იმპრესიონისტული მანერით არის დაწერილი. მაგრამ ერთი რამ მაინც აშკარაა, — პიესაში თავისებური გამოძახილი ჰპოვა კეთილისა და ბოროტის იმ ბრძოლამ, რომელიც მეწშვეკურ საქართველოში იყო. ასულები წყევლას უთვლიან ბოროტ ძალებს, დრომოჭმულ ცხოვრებას და სიხარულით შესტრფიან მომავალს. პიესა ასე მთავრდება: „აქ, ამ ძველ ქვეყანაში ვერ ვიხილავთ ცხოვრებას, ძალდატანებით შრომაში მოვკვდებით... სადმე ტყეში დაგვმარხავენ. ჩვენს საფლავზე ია ამოვა, მეგობრებო, მაგრამ მუნჯი იქნება იგი“.

ეს პიესა პ. კაკაბაძის პირველი ლირიკული დრამატული ნაწარმოებია. იგი თავისი იდეურ-ფილოსოფიური მრწამსით სინათლისა და თავისუფლებისაკენ მძაფრი მისწრაფებით იმაზე მიუთითებს, რომ იმ ხანად ახალგაზრდა მწერალი კარგად სწვდებოდა მოვლენათა არსს, ამჟღავნებდა იდეურ სიმწიფეს. ამიტომ სწორად მოქცეულა ავტორი, რომ იგი კრებულში შეუტანია.

პ. კაკაბაძის დრამატული ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი პიესები წარმატებით იდგმება ჩვენი თეატრების სცენაზე. ასევე გულთბილად ხვდება ჩვენი მკითხველი პ. კაკაბაძის ყოველ ახალ წიგნს.

ვ. კიკნაძე.

პირველად თგილისში

ლენინგრადის დრამატული სახელმწიფო თეატრის გასტროლებისათვის

ლი თეატრის სცენაზე განხორციელებულმა შ. დადიანის პიესამ „ნაპერწკლიანმა“ სტალინური პრემია დაიმსახურა. სტალინური პრემია დაიმსახურა ავრეთვე მის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „უკვდავების გზით“, ხოლო ლენინური პრემია ლენინგრადის პუშკინის სახელობის დრამატულ თეატრში 1955 წელს დადგმულმა სპექტაკლმა „ოპტიმისტურმა ტრაგედიამ“.

ლენინგრადის მ. გორკის სახელობის დიდი დრამატული სახელმწიფო თეატრის გასტროლები ჩვენს დედაქალაქში 25 ივნისს დაიწყება და 24 ივლისს დამთავრდება. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული სპექტაკლების პარალელურად საგასტროლო სპექტაკლები გაიმართება რუსთაველის სახელობის თეატრში.

ლენინგრადელი სტუმრები პირველ საგასტროლო სპექტაკლად მასპინძლებს სთავაზობენ გამოჩენილი ბრაზილიელი დრამატურგის გ. ფიგეირედოს ვბრილ კომედიას „მელა და ყურძენს“. თუ რაოდენ მაღალი შეფასება ხვდა ამ სპექტაკლს, რომელიც პირველად ამ თეატრის სცენაზე დაიდგა, მეტყველებს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კონკურსზე სპექტაკლმა დიდი ოქროს მედალი მიიღო, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ფესტივალზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

საგასტროლო რეპერტუარში თეატრს შეტანილი აქვს ახალგაზრდა ლენინგრადელი დრამატურგის ა. ეოლოდინის თანამედროვეობის თემაზე დაწერილი პიესა „ხუთი საღამო“, ჩეხი დრამატურგის პ. კოპოუტის პიესა „როცა ასეთი სიყვარულია“, რუმინელი დრამატურგის მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“, თ. დოსტოევსკის „იდიოტი“ (გ. ტოვსტონოგოვის სცენიური კომპოზიცია), პროგრესული იტალიელი დრამატურგის ა. ნიკოლაის პიესა „სინიორი მარიო კომედიას წერს“, ნ. ვინიკოვის „როცა აკაციები ჰყვავიან“. საგასტროლო რეპერტუარის 7 სპექტაკლიდან ექვსს ავტორია თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი გ. ტოვსტონოგოვი.

საგასტროლო სპექტაკლებში თბილისელი მაყურებლები იხილავენ საბჭოთა თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ ოსტატებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს გ. პოლიციემაკოს, რსფსრ სახალხო არტისტს ო. კაჩალოვს, რსფსრ დამსახურებულ არტისტებს, სტალინური პრემიის ლაურეატებს ნ. კორშს, ე. ლებედევს, ნ. ოლხინას, რსფსრ დამსახურებულ არტისტებს ნ. არდის, მ. ივანოვს, ე. კოპელიანს, ლ. მაკაროვას, მ. პრიზვან-სოკოლოვას, ბ. რიეუხინს, ვ. სტრეელჩიკს, მსახიობებს ე. ივანოვს, ვ. კუზნეცოვს, მ. ლავროვს და სხვ.

ლენინგრადის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო დიდი დრამატული თეატრის გასტროლები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ისტორიაში.

გ. აბესაძე.

• • •

სურათზე: სცენა ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის საგასტროლო სპექტაკლიდან „ხუთი საღამო“. ილინი — რსფსრ დამსახურებული არტისტი ე. კოპელიანი, თამარი — მსახიობი ზ. შარკო.

ფოტო დ. მოვშინისა.

ბულგარელ მსახიობთა კონცერტები

— ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ოპერის, ოპერეტის, რადიოს და ესტრადის მსახიობთა ჯგუფმა, — განაცხადა ჯგუფის ხელმძღვანელმა დიმიტრი ჩერკოზოვმა, — საბჭოთა კავშირში გასტროლები დაიწყო 4 ივნისს ოდესაში. შემდეგ ვესტფორეთ ყირიმის საკურორტო ქალაქებს, ხოჭს და სოხუმში გამართული კონცერტების შემდეგ ვეწვიეთ უძველეს ქალაქ თბილისს, რომლის შესახებ ბევრი რამ კარგი გვსმენია.

ბულგარელ სტუმართა კონცერტები გაიმართა 16 და 17 ივნისს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში.

სოფიის სახალხო ოპერის სოლისტმა ე. შარლანჯიევმა წარმატებით შეასრულა დ. ხრისტოვის „ლუკოვიტელი ქალიშვილები“ და ნოვიკოვის „რუსეთი“.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალის ლაურეატმა, ქალაქ პლოვდივის ოპერის სოლისტმა ს. ჯამერნიკმა ჩინებულად შეასრულა „ბაბანერა ბიზეს ოპერა კარმენიდან“ და დუნაევსკის სიმღერა.

ანსამბლ „სვეტლინას“ მოცეკვავეთა ჯგუფმა მაყურებელს უჩვენა ეროვნული ხალხური ცეკვები.

დიდი წარმატება ხვდათ ორიგინალური ჟანრის მსახიობებს ხ. ესტატიევს, ე. ენკოს და სხვ.

დღეს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში ბულგარელი მსახიობები გამართავენ გამოსათხოვარ კონცერტს.

ბულგარული ეროვნული ცეკვა.

ფოტო გ. გოგოხიასი.

განაკი „პიონერული ნაპერწკალი“

სკოლაში მეცადინეობა შეწყდა თუ არა, იმავე საღამოს აზა ქვრივიშვილი, ზოია კაბულაშვილი, ქეთევან მარღიშვილი წყაროსთან დასხდნენ და დიდხანს ბაასობდნენ იმაზე, თუ როგორ გაეტარებინათ ზაფხულის არდადეგები.

გოგონებს ერთად ყოფნა სურდათ.

— მოდით ჩვენს უბანში მოვაწყოთ პიონერთა ბანაკი,—გაანდო მეგობრებს თავიანი ჩანაფიქრი აზა ქვრივიშვილმა.

— მოვაწყოთ — ხიხარულით დაეთანხმნენ აზას მეგობრები.

მეორე დღეს გოგონებმა რჩევისათვის უფროს პიონერ-ხელმძღვანელს მიმართეს. ხელმძღვანელმა გადაწყვეტილება მოუწონა პიონერებს, და აი ერთ დღეს ქარელის ერთ უბანში ბავშვების უჩვეულო ყივილ-ხივილი გაისმა. ყველა საქმიანობდა. წყალს ეზიდებოდნენ, ეზოს ბგვიდნენ, უსწორო ადგილებს ასწორებდნენ, აგურს ამტვრევდნენ, ფხვნიდნენ, მოჭქონდათ ოთახის ყავილები, ვარდის თაიგულები... იქ, სადაც ცივი ანკარა წყარო მოჩუხჩუხებს, ბავშვებმა მოაწყეს პიონერული ბაზი, მშობლების დახმარებით აღმართეს ანძა და მოსაწვევი ბარათებიც დაგზავნეს. ბანაკის — „პიონერული ნაპერწკლის“ გახსნაზე ეპატიჟებოდნენ სტუმრებს.

...გაისმა პიონერული საყვირის ხმა და ბაზზე გამწკრივდა 40 წითელყელსაზევიანი გოგონა და ბიჭუნა. კომკავშირის ქარელის რაიკომმა პიონერებს წითელი ალამი გადასცა ხაჩუქრად. იგი მაშინვე ანძაზე ააფრიალეს.

ქარელის რაიონში პირველად დაიწყო უბნის პიონერულმა ბანაკმა მუშაობა.

„პიონერული ნაპერწკლის“ პიონერებს შემუშავებული აქვთ სამუშაო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით ისინი შინაარსიანად გაატარებენ ზაფხულის არდადეგებს. მოაწყობენ ექსკურსიებს, ლაშქრობებს მშობლიური მხარის შესახებ. ეწვევიან, დაეხმარებიან კოლმეურნეობას აბრეშუმის ჭიის გამოკვებაში, მოსავლის აღების პერიოდში გავლენ მინდვრად, კოლმეურნეებს უშველიან პურეულის მოსავლის უდანაკარგოდ აღებაში. სავლეკ კალოებზე გამართავენ კონცერტებს. ამავე დროს განაგრძობენ ჭართის შეგროვებას, ყვავილების მოვლა-გახარებას, ოჯახში მოეხმარებიან მშობლებს და სხვ.

...მჩქეფარე პიონერული ზაფხული დაიწყო. ყოველდღე უბანში ისმის პიონერული საყვირის ხმა, წყაროსთან იკრიბებიან ბავშვები, ვარჯიშობენ, კითხულობენ, მღერიან, ცეკვავენ, შრომობენ...

მ. ინასარიძე.

საყოფაცხოვრებო თემაზე

მნიშვნელოვანი წვრილმანები

ამას წინათ თეთრი წყაროს რაიონულმა გაზეთმა „საკოლმეურნეო გზამ“ მკაცრად გააკრიტიკა ზოგიერთი საწარმოდაწესებულების ხელმძღვანელი იმის გამო, რომ ყურადღება არ ექცევა სისუფთავის დაცვას, ეზოებისა და ქუჩების ყოველმოწყობას. ეს სწორია. საავადმყოფოსა და სანეპიდსადგურის ეზოები ნაგვით არის სავსე. მათ არც სამშობიარო სახლის ეზო ჩამორჩება. აქ უხვად არის პირუტყვის ნაყელი, ნახშირის ნამწვი, დამტვრეული ავტომანქანების ჩონჩხები.

თეთრი წყაროს ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის დასაწყისში წყალს გასასვლელი ვერ უპოვნია, დაგუბებულა და დამყაყებულა, ირგვლივ საშინელი შლამია. მილიცის განყოფილების შენობის წინ ჭინჭრისა და ველური ბალახების გაუვალი ტყეა.

ახლა რაიკომშირის სასადილოსა და მაღაზიაშიც შევიხედოთ. არც თუ ისე დიდი ხანია, რაც სასადილოს გამგე ცუდი მუშაობისათვის შეცვალეს. შეცვალეს მხოლოდ გამგე, მდგომარეობა იგივე დარჩა. შნიცელი და კოტლეტი — ეი ძალური სტანდარტი. ადგილობრივი მეცხოვრენი მართალნი არიან, როცა ამბობენ, რომ აქ იშვიათია მწვანილი, ლიმონათი, მინერალური წყლები, გემრიელი და მრავალფეროვანი საჭმელი. არის სხვა ნაკლოვანებებიც. მაგიდები უსუფთაოა, ზედ იშვიათად ნახავთ მენიუს, თანამშრომლებს ჭუჭყიანი ხალათები აცვიათ, სასადილოს ახალი გამგე ა. დემეტრაშვილიც თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას.

რაიმაღაზია მოთავსებულია ლამაზ და ფართო შენობაში. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ მოუქნელი მუშაობის შედეგად იგი გეგმას ვერ ასრულებს.

თეთრ წყაროში საითაც უნდა გაიხედოთ, თვალში გეცემათ ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოების სიმრავლე. ისინი გადაქცეულია კერძო შემოსავლის წყაროებად. სახელოსნოში, რომლის გამგეა ი. ტოუზისი, 5 წყვილ ფეხსაცმელზე გამოწერილი არ იყო ქვითრები, სახელოსნოში აუტანელი სიბინძურეა. მომხმარებელს საშუალება არა აქვს ფეხსაცმლის შეკეთების მოლოდინში სკამზე ჩამოჯდეს.

№ 1 საპარიკმახეროში არა აქვთ მაგარი და რბილი ინვენტარი, რიგში მომლოდინე მომხმარებელს საშუალება არა აქვს წაიკითხოს ჟურნალი, გაზეთი. 28 მაისს გაუპარსავი მუშაობდნენ ხელოსნები გ. გაბანიანი და შ. ოსეანიანი. ამაზე იტყვიან. მჭედელს დანა არა აქვსო.

ბევრი მნიშვნელოვანი წვრილმანის შესახებ შეიძლებოდა კიდევ მრავალი ფაქტი მოგვეყვანა. მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. თეთრი წყაროს რაიონის საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ თავიანთი რაიონის კეთილმოწყობით, მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის უკეთ დაყენებით.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახალი სპექტაკლი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მორიგ ახალ დადგმად მაყურებელს უჩვენა ახალგაზრდა ჩეხი დრამატურგის პ. კოჰოუტის პიესა „როცა ასეთი სიყვარულია“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა მ. თოქმანიშვილმა. მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა დ. თავაძემ, მუსიკალურად — ლ. ქიშმიშვილმა.

მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ს. ზაქარიაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები მ. ჩახავა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. თარხნიშვილი და ს. ყანჩელი, მსახიობები ი. ტყეშელიძე, ბ. კობახიძე, კ. საკანდელიძე, გურ. სალარაძე, რ. ჩხეიძე, რ. ჩხაიძე.

მოსკოვის თეატრის სცენაზე

მოსკოვი, 15 ივნისი. (საქინფორმი). მოსკოვის დრამის თეატრმა თავის რეპერტუარში შეიტანა კ. ბუაჩიძის პიესა „პროვინციელი ქალიშვილი“. ამ პიესას უჩვენებენ მეყამირეებს თეატრის გასტროლების დროს ყოჩეტავისა და ჩრდილო-ყაზახეთის ოლქებში.

მხატვრული ნამუშევრების განხილვა

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენამ, რომელიც მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში მოეწყო, ბევრი მაყურებელი მიიზიდა.

ახლახან აქვე, საგამოფენო დარბაზში, მოეწყო ოსი მხატვრებისა და სკულპტორების ნამუშევრების შემოქმედებითი განხილვა. სამხრეთ ოსეთის მხატვრების ნამუშევრებზე ილაპარაკა საქართველოს სამხატვრო აკადემიის დირექტორმა პროფესორმა ა. ქუთათელაძემ, სკულპტორთა ნამუშევრებზე—ი. თალაკვაძემ, აღინიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის მხატვართა ახალგაზრდა კოლექტივს უკანასკნელ ხანებში კარგი წარმატებები აქვს მოპოვებული. განხილვაზე მაღალი შეფასება მიიღო მხატვარ ბ. სანაკოევის ნამუშევარმა „მომავალი“, გ. კოტაევის — „ქორწილმა“.

რამდენიმე საინტერესო ნამუშევარი შექმნეს სკულპტორებმა ვ. ქოქოევმა, პ. ნეკერიშვილმა და ვ. ქელეხსაევმა.

განხილვაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე.



ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ტირანა, 16 ივნისი. (საკდესი). ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გუშინ განაცხადა, რომ იგი უთუოდ მხარს უჭერს რუმინეთის მთავრობის წინადადებას, რომ მოიწყოს ბალკანეთის სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების თათბირი, რათა მიღწეულ იქნას კოლექტიური შეთანხმება იმის შესახებ, რომ ბალკანეთი გადაიქცეს ატომური და რაკეტული ბაზებისა და ატომურ-რაკეტული იარაღისაგან თავისუფალ ზონად, და გამოთქვა მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს ასეთ თათბირში.

ალბანეთის მთავრობის თვალსაზრისით, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ალბანეთის დეპეშათა საagენტომ გადმოსცა, საერთაშორისო ვითარების განვითარება და, კერძოდ, მოვლენათა განვითარება ბალკანეთისა და ადრიატიკის რაიონში, ამ თათბირს ხდიან აუცილებელსა და აქტუალურს.

სოციალიზმის გამარჯვებამ ბალკანეთის ზოგიერთ სახელმწიფოში და ძალების ახალმა თანაფარდობამ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის სასარგებლოდ, ხაზგასმით აღნიშნავს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ბოლო მოუღო იმ პერიოდს, როცა ბალკანეთი იყო თოფის წამლის კასრი. ბალკანეთის ხალხებმა ისტორიიდან გააკეთეს დასკვნა და ისინი უფლებას არ მისცემენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს გადააქციონ ბალკანეთი ატომური ომის კერად.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, გამოთქვამს სურვილს, რომ ბალკანეთის სახელმწიფოთა ყველა მთავრობამ დაიკავოს დადებითი პოზიცია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადების მიმართ და გააერთიანოს ღონისძიებანი, რათა მიაღწიონ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ ბალკანეთი გადაიქცეს მშვიდობისა და მეგობრობის ზონად, უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების მძლავრ ფაქტორად.

ნიქსონი ადრევე ამზადებს გამართლებებს

ნიუ-იორკი, 16 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა სიტყვა წარმოთქვა სან-დიეგოს (კალიფორნია) უნივერსიტეტში ახალი შენობის გახსნის ცერემონიაზე და შეიცადა გიმართლებინა შეერთებული შტატები იმ შემთხვევისათვის, თუ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირმა მარცხი განიცადა.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საagენტო იუწყება, ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თათბირის ჩაშლის „ერთადერთი მიზეზი"... „იქნებიან რუსები". ნიქსონი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირმა ჟენევაში თითქოს დაიკავა „შეურიგებელი და ჯიუტი პოზიცია", რომელიც „საფრთხეს უქმნის უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევას". ამასთან მან მუქარის ტონით დასძინა: „თუ რუსებმა არ შეიცვალეს თავიანთი პოზიცია.., თათბირი უმაღლეს დონეზე ვერ გაიმართება".

გრძელდება რევანშისტთა პროვოკაციები

ბერლინი, 16 ივნისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში გრძელდება რევანშისტთა პროვოკაციული გამოსვლები, მიმართული საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. როგორც ადენს საagენტო იუწყება, ესენში რევანშისტთა შეხვედრის მონაწილეებმა წამოაყენეს გერმანიის 1939 წლის საზღვრების „აღდგენის" პროვოკაციული მოთხოვნა. სიტყვა წარმოთქვა რა კრებაზე აშაფენბურგში, ბავარიის შრომის მინისტრი ჯ. შტაინი მოითხოვდა „ახალი ტერიტორიული წესრიგის" დამყარებას. მან განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის პოლიტიკის მიზანია „სივრცის ახალი გადანაწილება ევროპაში". პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისადმი თავხედური რევანშისტული მოთხოვნები წამოაყენეს ფაშისტური შეკრების მონაწილეებმა რენდსბურგში.

ბერლინი, 16 ივნისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში მოასწავებს ახალ და დიდმნიშვნელოვან ეტაპს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ყოვლისმხრივი მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაში — ასეთია გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივობისა და პრესის ერთსულოვანი აზრი ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. საბჭოთა და გერმანელი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა აზრებში, მრავალ სტატიასა და ცნობაში, რომლებსაც ყოველდღე აქვეყნებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნა სსრ კავშირში გადაიქცა მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად, რომ იგი ხელს უწყობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას.

როგორც დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰ. ბრაშმა განაცხადა, ეს ვიზიტი ადასტურებს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის შეუძლია დარწმუნებული იყოს საბჭოთა ხალხის ძმურ დახმარებასა და მხარდაჭერაში.

როგორც ორივე ქვეყნის მეგობრული, ძმური ურთიერთობის ტრიუმფი დაახასიათა დელეგაციის ყოფნა საბჭოთა კავშირში ჩრდილოეთ-დემოკრატიული კავშირის გამგეობის წევრმა ა. ნიგემანმა.

მექანიზაციის წარმატება უნგრეთში

ბუდაპეშტი, 17 ივნისი. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ლაიოშ ჰეფერმა სიტყვა წარმოთქვა ფიუზედიარმატში სოფლის მშრომელთა და მტს-ის მუშაკთა წინაშე. მან აღნიშნა, რომ უნგრეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტემპი სულ უფრო ძლიერდება. მომდინარე წელს, თქვა მან, მტს-ები მიიღებენ კიდევ რამდენიმე ათას ტრაქტორს, კომბაინსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. მარტო საბჭოთა კავშირიდან შემოვა 2 ათასზე მეტი „ბელარუსის" ტიპის ტრაქტორი, რამდენიმე ასეული ავტოფილსათხრელი და სასილოსე კომბაინი, სათესი მანქანა და სხვ.

ლაიოშ ფეჰერმა აღნიშნა, რომ წელს მარცვლეულის მოსავალს კარგი პირი უჭირს. წელს გაზაფხულზე სასოფლო შეტანილ იქნა 1.800 ათას ჰოლდ (1 ჰოლდი უდრის 0,57 ჰექტარს) სათეს ფართობზე, რაც საოცარია. 1958 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გადიდდა სასილოსე სიმინდის ნათესები.

მეხუთე წელია წარმოებს ომი ალჟირში. საფრანგეთის მთავრობა ცდილობს სამხედრო ძალების გამოყენებით ჩაახშოს ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ალჟირში იმყოფება 600.000-ზე მეტი ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი, ათეულ ათასობით ჟანდარმი და პოლიციელი. ყოველდღიურად ქვეყნდება ცნობები ორივე მხარის ასობით მოკლულთა შესახებ. კოლონიური ხელისუფალნი აძალიერებენ რეპრესიებს ალჟირის მშვიდობიანი მოსახლეობის — მოხუცების, ქალების, ბავშვების წინააღმდეგ.

ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელ არმიაში 130.000 მეომარია — „მეჯაჰიდები", თავისუფლებისათვის მებრძოლები, როგორც მათ ხალხი ეძახის. მისი ძირითადი შემადგენლობა გლეხებია.

ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია კონტროლს უწევს ალჟირის ყველაზე დასახლებული ნაწილის ორ მესამედს

სურათზე: ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები.

ძმური ურთიერთობის ტრიუმფი

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" დღეს აქვეყნებს სტატიას, რომელშიც აღნიშნავს მეგობრული ურთიერთობის მრავალსახეობას, რაც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს აერთებს. ეს ურთიერთობა მოიცავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა და კულტურის ყველა დარგს.

მშვიდობისმოყვარე ადამიანები ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, შეიძლება დარწმუნებული იყვნენ, რომ ყველა განმტკიცდება და განვითარდება მეგობრობა ორი ხალხისა, რომელთაც სურთ მშვიდობა და ეწევიან მშვიდობიან მშენებლობას.

გაზეთი „ნოიე ციაიტი" მოწონავს სტატიაში წერს იმ მნიშვნელობის შესახებ, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტს აქვს ხალხთა ბრძოლისათვის, რომ ბალტიის ზღვა გადაიქცეს მშვიდობის ზღვად. ამასთან დაკავშირებით გაზეთი მოგვაგონებს ვალტერ ულბრიხტის სიტყვებს მისი გამოსვლიდან ბონში იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, ავრეთვე სკანდინავიის ქვეყნების მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები მეტად დაინტერესებული არიან იმით, რომ ბალტიის ზღვა მშვიდობის ზღვა გახდეს.

ტგის დაგადება

ხაშვილიშვილო საქმე გააკეთეს. ხელოვნურ ტბაში უნდა შეეშვათ ახალი ჯიშის იხვი და მოეშენებინათ თევზი. პეკინის ჯიშის იხვი სტავროპოლის მხარიდან უნდა ჩამოეყვანათ, მანამდე კი ტბაში შეუშვეს ადგილობრივი ჯიშის თევზი გოჭა. იგი სწრაფად ეომრავლდა.

ხელოვნური ტბა მხედველობიდან როდი გამორჩა გარეულ ფრინველს. სტუმრებად დამკვიდრდნენ გარეული იხვები და ბატები. მონადირეები ხშირად უხვი ნადავლით ბრუნდებოდნენ. გამოჩნდნენ თოლიებიც. მალე გარეულ ფრინველებს დაუმეგობრდნენ სტავროპოლიდან ჩამოყვანილი იხვები. 400 ფრთა პეკინის ჯიშის იხვი ლამაზად დაცურავს მოლივლივე ტბაში. კოლმეურნეებმა იხვის კვერცხებიც ჩაუოიტანეს და წელს ხელოვნურ ტბაში უკვე 2.500 ფრთა პეკინის ჯიშის იხვს ითვლიან.

1960 წლისათვის გათვალისწინებულია აქვთ 10.000 ფრთამდე გაზარდონ ახალი ჯიშის იხვი, რომლის წონა 4 კილოგრამს აღემატება. შეიდწლედის დასასრულს, 1965 წლისათვის, ხელოვნურ ტბაში ახალულიანოვკელ კოლმეურნეებს 20.000 ფრთა ეყოლებათ.

ტბაში იხვებს ნავებით გასული მომვლელები კვებავენ. ტბის ირგვლივ მოწყობილია ფრინველის კარგად აშენებული სადგომები, აქვე შენდება საუკეთესო სახლი მომვლელთათვის. იხვის მოვლა-პატრონობასა და კვერცხის მიღებაში თავი ისახელეს კოლმეურნეებმა ქსენია შუბითიძემ, ნაზიკო შუბითიძემ, რიმა გოგოლაძემ, გულნაზ ქიმაძემ. ფერმას კარგად ხელმძღვანელობს გოგი ხარშილაძე.

იხვების მოვლა-პატრონობასთან ერთად კოლმეურნეები წარმატებით ამრავლებენ თევზს, რომელსაც მზრუნველობას არ აკლებენ. ამ საქმის საუკეთესო ოსტატებია რომან გუკოვი და პავლე ნავოზოვი. ისინი ხელოვნურად კვებავენ თევზს.

1; ჰექტარზე გადაჭიმული ხელოვნური ტბა საკოლმეურნეო დოვლათის. და სიუხვის საწინდარია.

სურათზე: იხვის მომვლელები ნაზი და ქსენია შუბითიძეები ნავით ტბაში

ტექსტი და ფოტო გ. ხეჩუაშვილისა.

ყოველი მრეწველისთვის

ა. ა. გრომიკო შეხვდა ლ. გოლცს

ჟენევა, 16 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საღამოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს დოქტორ ლ. გოლცს. საუბრის დროს შეეხნენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ვ. ა. ზორინმა, ი. ი. ილიჩოვმა, ო. პ. სელიანინოვმა, ო. ვინცერმა, გ. ტეპლიცმა, პ. ფლორინმა, ვ. მეისნერმა, გ. კეგელმა.

ჟენევა, 16 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ). დღეს საბჭოთა დელეგაციის რეზიდენციაში მოხდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს ახალი შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ დოქტორ ლ. გოლცთან. შეხვედრის დროს გაგრძელდა აზრთა გაზიარება ჟენევის თათბირის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შეხვედრას დაესწრნენ ვ. ა. ზორინი, ი. ი. ილიჩოვი, ო. პ. სელიანინოვი, ო. ვინცერი, გ. ტეპლიცი, პ. ფლორინი, ვ. მეისნერი და გ. კეგელი.

ა. ა. გრომიკო შეხვდა კ. ჰერტერს

ჟენევა, 17 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის რეზიდენციაში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კ. ჰერტერს.

შეხვედრას დაესწრნენ ა. ა. სოლდატოვი, ლ. მერჩენტი და ლ. ტომპსონი.

მონღოლი ხალხის კანონიერი მოთხოვნის მხარდასაჭერად

კაირო, 16 ივნისი. (საკდესი). აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოს მუდმივმა სამდივნომ გუშინ აფრიკისა და აზიის სოლიდარობის ყველა ეროვნულ კომიტეტს გაუგზავნა ცირკულარული წერილი, რომლითაც სოლიდარობის საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ურჩევს 11 ივლისი აღინიშნოს როგორც მონღოლეთის დღე.

სოლიდარობის საბჭოს მეორე სესიის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კაიროს კონფერენციის მონღოლეთის საკითხზე გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭო მოუწოდებს აფრიკისა და აზიის სოლიდარობის ყველა ეროვნულ კომიტეტს 11 ივლისი აღინიშნოს როგორც მონღოლეთთან სოლიდარობის დღე და მოითხოვონ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესრომის მისი უფლება".

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, ნათქვამია მუდმივი სამდივნოს ცირკულარულ წერილში, უკანასკნელ 40 წელიწადში შესანიშნავი პროგრესი მოიპოვა ყველა დარგში და აფრიკისა და აზიის სოლიდარობის მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო. იმპერიალისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისაღები გზა გადაუღობეს მონღოლეთს.

ამიტომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა ძმური მოვალეობა ის არის, რომ თავიანთ მონღოლ ძმებს მხარი დაუჭირონ, რათა აიძულონ იმპერიალისტური პროპაგანდა შეწყვიტოს მის მიერ გავრცელებული სიცრუე მონღოლი ხალხის შესახებ და მოითხოვონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონღოლეთის მიღება.

ლხასაში ჩავიდა პანჩენ-ერტნი

პეკინი, 16 ივნისი. (საკდესი). სრულიად ჩინეთის სახალხო წარომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ტიბეტის ავტონომიური რაიონის შექმნის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი პანჩენ-ერტნი გუშინ ლხასაში ჩავიდა სპეციალური თვითმფრინავით სინინიდან — ციხესის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრიდან. პანჩენ-ერტნისთან ერთად ლხასაში ჩავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსთან არსებული ეროვნებათა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვან ფენი.

ლხასის აეროდრომზე პანჩენ-ერტნის შეხვდა ქალაქის ათასზე მეტი მცხოვრები.

ამერიკის სამხედრო გაზეთის ლიკვიდაციისათვის

პეკინი, 16 ივნისი. (საკდესი). სინხუას საagენტო იმოწმებს იაპონურ გაზეთს „აკახატას" და იუწყება, რომ იბარაკის პრეფექტურის ქალაქ ნაკამინატოს რამდენიმე ასეულმა მცხოვრებმა ამ დღეებში საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო ამ ქალაქის რაიონში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზის არსებობის წინააღმდეგ.

დემონსტრაციის მონაწილეებმა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში გაგზავნეს პეტიცია, რომელშიც ხათქვამია, რომ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზა საფრთხეს წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის სიცოცხლისათვის. უკანასკნელ დროს ამერიკის ავიაციის საწვრთნელი დაბომბვის შედეგად მოხდა 160 უბედური შემთხვევა, ამასთან მოკვლულ იქნა 3 და დაჭრა 2 კაცი, პეტიციაში მოთხოვნილია, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტმა დაუყოვნებლივ მიიღოს კონკრეტული ღონისძიებანი ნაკამინატოში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზის ლიკვიდაციისათვის, ხოლო მიწები, რომლებიც ამერიკის სარდლობამ ამ ბაზისათვის დაიკავა, გლეხობას გადაეცეს.

უცხოეთის ქრონიკა

◆ ცეილონის მთავრობის მიწვევით კოლომბოში მეგობრობის ვიზიტით ჩავიდა ინდოეთის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი.

◆ 16 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ მიიღო ინდონეზიის ახალგაზრდობის დელეგაციის წევრები ინდონეზიის ახალგაზრდობის ფრონტის ცენტრალური საბჭოს წევრის ელიანდერ დანჯიეს მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ინდონეზიის ახალგაზრდობის ცხოა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

◆ კაიროში ჩავიდა მაროკოს პრემიერ-მინისტრი ა.ბდალა იბრაჰიმი. იგი ოფიციალურ მოლაპარაკებას აწარმოებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან.

◆ იტალიაში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ სტამბოლში დაბრუნდა თურქეთის პრეზიდენტი ჯალალ ბაიარი. (საკდესი).

ფრანკოს „უეცარი აჯანყებისა" ეშინია

პარიზი, 16 ივნისი. (საkდესი). საფრანგეთის დემოკრატიული პრესის ცნობებით, ესპანეთის მშრომელები ემზადებიან 24 საათის ეროვნული საპროტესტო გაფიცვისათვის ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ. როგორც გაზეთი „ლუმანიტე" აღნიშნავს, მთელ ესპანეთში ამჟამად ავრცელებენ ასეფილ ათასობით ფურცელს, რომლებიც მოუწოდებენ მშრომელებს მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო გაფიცვაში.

დიქტატორი ფრანკო, წერს გაზეთი „ლიბერასიონი", საგანგებო ღონისძიებებს მიმართავს, იგი სასწრაფოდ ამზადებს ახალ რეპრესიულ კანონებს. ამავე გაზეთის ცნობით, ფრანკომ კორტესების ბიუროში გაგზავნა კანონპროექტი ევროპეთწოდებული ესპანეთის საზოგადოებრივი წყობილების შესახებ, რომელიც უფრო გაფფრთოვებს პოლიციის ხელისუფალთა უფლებებს. კანონპროექტი ითვალისწინებს აგრეთვე არმიის ნაწილების გამოყენებას „უშიშროების ძალების" განსამტკიცებლად, „საგანგებო წესების" და „ომის მდგომარეობის" გამოცხადებასაც კი „უეცარი აჯანყების" შემთხვევაში.

ამ კანონპროექტის მიზანია, აცხადებს გაზეთი, ანტიფრანკისტული ელემენტების დაშინება.

იზრდება ტაქსის პარკი

თბილისის საქალაქო ტრანსპორტში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ტაქსს, როგორც ტრანსპორტის ყველაზე მოქნილ სახეს.

სამგზავრო ტაქსების სამმართველოს ქალაქში სამუშაოდ ყოველდღიურად გამოყავს 490-500 ტაქსი — „ვოლგის", „ზიმის", „პობედის" და „მოსკვიჩის" მარკის ავტომანქანები, მათ საშუალოდ დღეში 45-50 ათასი მგზავრი გადაჰყავთ. ამ რიცხვს მალე დაემატება 20 ახალი მანქანა „ვოლგა", რომლებიც ახლახან მიიღო სამმართველომ.

ამ დღეებში სამარშრუტო ტაქსები დაიწყებენ მიმოსვლას საგარეუბნო კურორტებზე — წყნეთში, კოჯორში, ციქეთში და სხვ.

15 ივნისიდან შემოღებულია „ზიმის" მარკის ტაქსის შეღავათიანი ტარიფი. კილომეტრის გარბენი 2 მანეთის ნაცვლად ღირს 1 მანეთი და 50 კაპიკი, ე. ი. როგორც „ვოლგისა" და „პობედის" მარკის ავტომანქანებში.

ქალაქში „ტაქსის" სადგომი მოწყობილია 32 ადგილას. რაიონიდან ჩამოსულ მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის ახლახან ქალაქის ავტოვაგზალთან სტალინის სანაპირზე გაიხსნა ტაქსის სადგომი. ტაქსის ახალი სადგომები მოეწყობა აგრეთვე ლენინის რაიონში ოქტომბრის პროსპექტზე, ფუნიკულორის ქვედა სადგურთან, სასტუმრო „საქართველოს" წინ, ი. ჭავჭავაძის პროსპექტისა და არაყიშვილის ქუჩის კუთხეში და სხვ.

მგზავრთა მოთხოვნის შემთხვევაში ტაქსი გაჩერდება ტროტუარებთან, მაღაზიების წინ და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, სადაც სხვა მანქანებს დგომის უფლება არა აქვთ.

მოკლედ

◆ **ჟუთაისი.** (საკ. კორ.). ერთ თვეზე მეტია, რაც ლიტოპონის ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები შემცირებულ სამუშაო დღეზე გადავიდნენ. ამჟამად ქარხნის ძირითადი საამქროები ოთხ ცვლად მუშაობენ.

შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასვლის შემდეგ მუშათა ხელფასი 20 პროცენტით გაიზარდა.

◆ **თელავი.** (საკ. კორ.). რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავმა" საკუთარი სახსრებით ააშენა და მოაწყო სოფლის მაღაზია, რომელიც ახლახან გაიხსნა. მაღაზიას აქვს რამდენიმე სექცია, სადაც დიდძალი სამრეწველო და სასურსათო საქონელი იყიდება. თავიანთი სახსრებით ახალ მაღაზიებს აშენებენ იყალთოს, კუურდღელაურისა და ყარაჯალის კოლმეურნეობები.

◆ **ბალი.** რაიონში მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ისტორიულ-ლინგვისტური ექსპედიცია, რომელსაც ხელძღვანელობს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ხინელი. უკვე შეგროვებულია მთელი რიგი საყურადღებო ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და სხვა სახის მასალები, აღმოჩენილია ბევრი საინტერესო არქეოლოგიური ნივთი.

„კომუნისტის" კორ.

მ. ი. ნოდია — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კურორტების მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების გამგემ მ. ი. ნოდიამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „ნაბეღლავის ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ხატრიუმიანი წყლის მოქმედება კუჭქვედა ჯირკვლის გარეგან სეკრეციაზე".

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა მ. ი. ნოდიასათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

წესრიგის დაცვის რაზმი მოქმედებს

თბილისში მივლინებით ჩამოსულ ფოთის წისქვილკომბინატის ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის განყოფილების უფროსს თ. სვანიძეს ტროლეიბუსში დარჩა პატარა ჩემოდანი ძვირფასი ნივთებით. იგი ჩემოდანს დაკარგულად თვლიდა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ მან მიიღო წერილი, რომლითაც თბილისის ტროლეიბუსის სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რაზმის უფროსი ამხ. ხეთაგური ატუმბინებდა, თქვენი ჩემოდანი ნაპოვნიაო. მალე თ. სვანიძემ მიიღო ჩემოდანი უკლებლივ ყველა ნივთით.

ჩემოდანი ტროლეიბუსში იპოვნეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რაზმის წევრებმა გ. როსტომაშვილმა და ზ. ლავოეკმა.

კ. კომახიძე.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

ივნისის ბოლო რიცხვებში საბჭოთა კავშირში მოელიან იუგოსლავიის მოჭადრაკეებს, რომლებიც მსოფლიოში მოწინავეთა რიგებში დგანან. კიევში გაიმართება სსრ კავშირის და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა გუნდების მორიგი, რიცხვით მეოთხე ამხანაგური შეხვედრა. თვითეული გუნდი დაკომპლექტებული იქნება 8 მოჭადრაკე ვაქით და 2 ქალით.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში იქნებიან: ვაქებიდან — ვ. სმისლოვი, ტ. პეტროსიანი, ე. გელერი, ი. ავერბახი, დ. ბრონშტეინი, ვ. კორჩნოი, მ. ტალმანოვი, ე. გუფელდი; ქალებიდან — ე. ბიკოვა, ლ. ვოლპერტი.

სათადარიგო მოთამაშედ სსრ კავშირის ნაკრებში შეყვანილია ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი.

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲢᲩᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ივნისის მეორე ნახევარში სსრ კავშირმა მოეწყობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი თავისუფალ ჭიდაობაში. ეს იქნება ამერიკელ მოჭიდავეთა სამასუხო ვიზიტი.

ამ შეჯიბრებისათვის ემზადება სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომელიც გასულ სეზონთან შედარებით შეცვლილი იქნება. უმჩატეს, წონაში ვარაუდობენ გ. საიადოვს ან მ. ცალკალაძისაგან, მსუბუქ წონაში — ვ. სინიოვსკის ან ა. ბესტაევს, ქვესაშუალო წონაში — გ. ნებერიოძეს ან ვ. ბალავაძეს, ქვემძიმე წონაში — ბ. გურევიჩს, ა. ალბულს ან ბ. კულაევს. ნაკრებ გუნდებში არ იქნებიან ლ. სალიმულინი, ვ. არსენიანი და ო. კანდელაკი. მჩატე წონაში არჩეულნი ალბათ ი. ზამიატინს ხვდება, ხოლო მძიმე წონაში გამოვა ს. ძარასოვი ან ი. ვიხრისტიუკი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

„Ა" ᲙᲚᲐᲡᲘ

მოსკოვის დინამოელები იუგოსლავიელ ფეხბურთელებთან მატჩების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ და ჩაებნენ საკავშირო ჩემპიონატის ბრძოლებში. საერთაშორისო ასპარეზობის შემდეგ 16 ივნისს დედაქალაქის დინამოელები შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდს. ბრძოლა მიმდინარეობდა დინამოელთა აშკარა უპირატესობით და დამთავრდა მთავევ გამარჯვებით ანგარიშით 7:1. ამრიგად, მოსკოვის დინამოს ფეხბურთელთა კოლექტივს 8 თამაშიდან არც ერთი მატჩი არ წაუგია და 15 ქულით პირველობის გათამაშების ლიდერია.

• • •

იმასთან დაკავშირებით, რომ ივნისის მეორე ნახევარსა და ივლისს დასაწყისში მოეწყობა საერთაშორისო შეხვედრები, „ა" კლასის გუნდების ასპარეზობაში შეტანილია ცვლილებები: ლენინგრადის „ზენიტისა" და მოსკოვის „ტორპედოს" გუნდების მატჩი მოეწყობა 30 ივნისს. ამავე დღეს გაიმართება მოსკოვის „ლოკომოტივისა" და კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება. 1 ივლისს ითამაშებენ დონის როსტოვის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის და სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკის" გუნდები.

„Ბ" ᲙᲚᲐᲡᲘ

ნალჩიკში შედგა „ბ" კლასის მესამე ზონის გუნდების შეჯიბრება ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე. თამაშობდნენ ნალჩიკის „სპარტაკისა" და თბილისის „ლოკომოტივის" გუნდები. გამარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 2:1.

ყრასნოდარში ადგილობრივი „უუბანისა" და თბილისის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ყრასნოდარელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადავუხადო სამეცნიერო, პედაგოგიური და ლიტერატურული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, აგრეთვე მეგობრებს, ამხანაგებს და ნათესავებს, რომელნიც გამოეხმაურნენ ჩემი დაბადებიდან 80, ხოლო მეცნიერული მუშაობის 55 წლისთავს.

აკად. კ. კეკელიძე.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: **რედაქტორის** — 3-62-26, **რედაქტორის მოადგილეების** — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, **პასუხისმგებელი მდივნის** — 3-72-80, **სამდივნოსი** — 3-81-65, **განყოფილებებისა:** **პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის** — 3-81-84, **მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის**—3-16-90, **სოფლის მეურნეობის**—3-20-43, **მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების**—3-80-84, **საბჭოთა მშენებლობის** — 3-57-61, **უცხოეთის ინფორმაციის** — 3-80-83